ჰოსპიტალი. შემდეგ კი, როცა დაიწყო
ცხინვალის დაპყრობა, ძალიან მალე სა-
აკაშვილმა ბრძანება გასცა, კოდორიდან
შეტევა განხორციელებულიყო სოხუმზე.
ამის შემდეგ, რაკი რუსის ჯარი სწრაფად
მოძრაობდა და ზუგდიდისკენ მიემართე-
ბოდა, კოდორი აღმოჩნდებოდა სრულ
ალყაში, კოდორის მეთაური დაუკავშირ-
და რუსეთს ღია რაიკით, თხოვა დერე-
ფანი და რუსებმა თავიანთ უხეშ სტილში
უთხრეს, „არავინ არ გვჭირდება, ნადით
აქედან, დაახვიეთო“.

ტელევიზიის აჩვენებდა, ისე წავიდნენ
თავიანთი ლენდროვერებით და ისე გა-
იქნენ კოდორიდან, რომ ლუდით სავსე
კახეხები დარჩათ მაგიდაზე, დარჩათ სა-
ილუმო რუკები და დროშები, ასევე, მოე-
ლი შეიარაღება და სამხედრო ჰოსპიტა-
ლი, რომელიც, სულ ცოტა, 2 მილიონი
დოლარი ღირდა. ეს ყველაფერი დარ-
ჩათ რუსებს და აფხაზებს. მაღაფში არ ავი-
და კოდორში, არ მინდა ვნახო, შეიძლება
იქ დაღუპული ჯარისკაცები. ამ დროს
იქ ერთი ტყვიაც არ გაეფარდებოდა, ერთი
კაციც არ დაღუპულა, ისე ჩააბარეს კო-
დორი. სენაკში რომ შევიდნენ, გორიზიამ
მიიყვანა თავისი ჯაბით რუსი გენერალი
იარაღით გაძევილი სამხედრო მანქანაზე, ერ-
თი გასროლაც არ ყოფილა, მადლობა
ღმერთს, რომ არ იყო, თორემ რუსები რას
უზამდნენ ყველაფერს?! რუსმა ჯარისკა-
ცებმა „დიდი შრომა“ გასწიეს, ორად მოხ-
რილები დაათრევდნენ ამერიკული ავტო-
მატებით სავსე დიდი ყუთებს. ასევე, წაი-
დეს პოლონური ბუკები და სხვა. ათასობით
ავტომობილი გაზიდეს გასროლის გარეშე“.

— აცხადებს პეტრე მამრამაძე.

მანანა ნოზაძე

ევროკავშირი თავზე ეხეობა და ესპონეთი გაინს ქართველების ვიზალიზაციისთვის დაკარგოს

**დაიწყოთ თუ არა საქართველოს ხელისუფლებაზე დასავლეთიდან ზეწოლის
ახალი სიკლი და რისთვის გზადდება ნიდაგი? - როგორც მოუწოდებთ
ამოქმედ. დასავლეთის პარალელურად, ქვეყნის შიგნითაც გზადდება
უნდა დაიწყოს იმისთვის, რომ გიძინა ივანიშვილი და „ოცნება“
ამ წნახს ვეღარ გაუქმებს და ახალ არჩევანს დანიშნავს. საქართველოს
ხელისუფლების და მისი მოქალაქეების შანსები კი ვიზალიზაციისთვის
საქონით და ევროკავშირში გაწევრიანების ირგვლივ ისევ ბრძოლაშია.**

საფრანგეთის ელჩმა საქართველოში
ხელისუფლებას სამი ძირითადი საკითხი
წარუდგინა, რომელსაც ევროკავშირში მის-
გან იტყვით. შერაზ გარსი სომხეთში
ქსელში ამ ჩამონათვალს აქვეყნებს.

„ევროკავშირის მნიშვნელოვანი გზავნილი
საქართველოს: შეწყდეს რეპრესიები, გათავი-
სუფლდნენ უსამართლო დაკავებული პატიმ-
რები, ჩაერთოთ დიპლომატიის კრიზისიდან დემოკ-
რატიული გამოსავლის მოსაძებნად“, - წერს
საფრანგეთის ელჩი საქართველოში.

„საკითხი მაგიდაზე დევს“, - ეს კი ესტო-
ნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადე-
ბაა, რომელიც ევროკავშირის მოუწოდებს, სა-
ქართველოსთან ვიზალიზაციის პოლი-
ტიკის გადახედვის პროცესი დაიწყოს.

„ეს საკითხი (ვიზალიზაციის
გადახედვა) მაგიდაზე დევს და სჭირდება
15 წევი ქვეყნის თანხმობა პროცესის
დასაწყებად. ესტონეთს უკვე ათობით მა-
ღალჩინოსანი ჰყავს სანქციების ქვეშ
მოქცეული ბიძინა ივანიშვილის და ირაკ-
ლი კობახიძის ჩათვლით. მოუწოდებთ
ევროკავშირს, დაიწყოს პროცესი ვიზა-
ლიზაციის გადახედვაზე“.

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოე-
ბის საკითხებში ევროკავშირის უმაღ-
ლესმა წარმომადგენელმა და ევროკო-
მისიის ვიცე-პრეზიდენტმა კაია კალასმა
და გაფართოების საკითხებში ევროკო-
მისარმა მარტა კოსიმ კი საქართველოს-
თან დაკავშირებით ერთობლივი განცხა-
დება 2 აპრილს გაავრცელეს.

განცხადებამ 3300-მდე მოსახლე, რომ
„უცხოეთის აგენტთა რეგისტრაციის შე-
სახებ“ და „მუწყველობის შესახებ“ კა-
ნონები საქართველოს ხელისუფლებას
დამატებით შესაძლებლობას აძლევს
ოპოზიციის დათრგუნვისა და რეპრესი-
ული პოლიტიკის გამკაცრებისთვის.

განცხადებამ კაია კალასი და მარტა კო-
სი ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ აიღოს
რეალური და უპირობო ვალდებულება ევრო-
კავშირის გზაზე დასაბრუნებლად.

ასევე, საქართველოზე სანქციების პოლი-
ტიკით წნეხი გრძელდება. 2 აპრილს დიდმა ბრი-
ტანეთმა მოსამართლეებს - ლევან მურუსიძე-
სა და მიხეილ ჩინალაძეს სანქციები დაუწესა.

„ქართული ოცნება“ მამრამაძის მი-
ერ დანახვულ თანამდებობის პირე-
ბის მიმართ 26 მარტს დანახვულ ახალ
სანქციებს ასევე „დიდი სთამთის“ მორიგ
შუქისმიმდებლად ადგის.

თანამდებობის პირებს საქართველოში
გერმანულმა მხარემ დამატებითი შეზღუდვები
დაუწესა. გადაწყვეტილების შესახებ გერმანი-
ის საგარეო უწყებამ სოციალურ ქსელში დაწერა.
მიზეზი, როგორც გერმანული მხარე განმარტავს,
საპროტესტო აქციებისთვის ხელის შეშლა და
მომიტინგეებზე ძალადობაა.

ქალაქის მერი კახა კალაძე კი ამბობს, რომ



საქართველოში არ არის პარტი
ვითარება, მსოფლიო
ვიზალიზაციისთვის
პროცესის ინიციატივას
სთავაზობს
ევროკავშირს

საქართველოს წინააღმდეგ დაწყებული შეტევა
და ახალი სანქციები იმ პოლიტიკის გაგრძელე-
ბაა, რასაც საქართველოს ხელში ჩაგდება ჰქვია.

„ეს, უბრალოდ, სიტყვების ბრახა-
რეხია, რა გონიერული ქვეყნი? - კონკ-
რეტული მაღალი თანამდებობის პირე-
ბის დასაწყვიტება შანტაჟის ერთ-ერთი
ელემენტია - ამით სურვილი აქვთ, რო-
გორც ქვეყანა ხელში ჩაიგდონ, რომ
შემდეგ გამოიყენონ თავიანთი ინტერე-
სების გასაბრუნებლად“, - ამბობს „ქარ-
თული ოცნების“ გენერალური მდივანი.

მისი თქმით, ეს არის იმ ხაზის გაგრძელე-
ბა, რასაც ჩვენ გვხვდებით ბოლო თვეების და
წლების განმავლობაში.

„იქნა, თუ როგორ უსამართლოდ ექ-
ცევიან ჩვენს ქვეყანას. დღესაც გრძელ-
დება ეს - მუდმივი შანტაჟი, ცილისწამება,
მმართველური ტონი. კონკრეტული მა-
ღალი თანამდებობის პირების დასაწყ-
ვიტება შანტაჟის ერთ-ერთი ელემენტია.
ამით სურვილი აქვთ, რომ როგორც ქვე-
ყანა ხელში ჩაიგდონ, რომ შემდეგ გა-
მოიყენებულ იყოს ისეთ ქვეყნებში, რო-
გორც საქართველო, უკრაინა, თავი-
ანთი ინტერესების გასაბრუნებლად. ჩვენ
ამას ვეზრძებით და ამისთვის ძალიან ზე-
რი რამის მოთმენა მოგვიწია. ძალიან
რთული იყო. მარტივი პროცესი არ ყო-
ფილა. დღესაც გრძელდება, სამწუხა-
რად, მაგრამ როცა საქმე ეხება სამშო-
ლოს, რა თქმა უნდა, ყოველთვის დაე-
დგებით იქ, სადაც ჩვენს ქვეყანას სჭირ-
დება“, - განაცხადა პ.ლ.მ.

საერთაშორისო საკითხების სპეციალისტი
თამარ პიპინაძე for.ge-თან ამბობს, რომ საქარ-
თველოზე ახალი შეტევის ციკლი დაიწყო, მაგ-
რამ ამას ვერ ექნება ხელისუფლებამ გერკე-

ტის სახე, რადგან „ოცნებამ“ ამაზე მძიმე სიტუ-
აციას გაუძლო.

„საქართველოს ხელისუფლება უკვე
დიდი ხანია განსაკუთრებული ზეწოლის
ქვეშ იმყოფება, მაგრამ ვხედავთ, რომ
ამაზე უკვე იმუნიტეტი გამოიყვანა. პი-
რქით, უფრო გაძლიერდა, არჩევნებშიც
დაამარცხა ოპოზიცია, რომელსაც ეს ძა-
ლები გულშემატკვრებდნენ და საარ-
ჩევნო კამპანია ჩაუტარეს. უფრო გაძ-
ლიერებულია ხელისუფლება და უკვე
მათი მხილება დაიწყო. ვხედავთ საგა-
მოძიებო კომისიაზე ხალხი რას ჰყვე-
ბა წინა ხელისუფლების მესვეურებზე და
ახლაც ოპოზიციაში მოღვაწე მოციერო
ლიდერზე. ხელისუფლება, პირველ
რიგში, საკუთარი ხალხის და ეროვნუ-
ლი ინტერესებიდან გამომდინარე მოქ-
მედებს. გარედან ნაკარნახევი დირექ-
ტივით საქართველოს ხელისუფლება
ვერ იმოქმედებს, როცა მით უმეტეს ეს
არ არის ქართველი ხალხის ინტერე-
სების გამტარებელი მოთხოვნები. ამი-
ტომ სანქციების, შანტაჟის და მუქარის
მიუხედავად, საქართველოს ხელისუფ-
ლება ვერ უღალატებს ხალხს.

ბიძინა ივანიშვილს რამდენი მილი-
ონი დაუჯდადეს უკვე და რის გამო ასან-
ქვირებენ? ამის ერთი წესიერი არგუმენ-
ტი არ მაქვთ. გულშემატკვრებენ
ოპოზიციას, რომლის თვლით დანახ-
ვაც ჩვენს მოსახლეობას არ უნდა. თა-
ვად საკუთარ ამომრჩეველშიც ისე აქვთ
სახელი შეღახული, რომ აქციებზე გა-
მოსვლასაც ვერ გეღავენ. ამიტომ, ეს
ოპოზიცია პოლიტიკურად ბოლომდე უნ-
და ჩაირეცხოს. ყველას სახე უნდა გა-
მოჩნდეს, რომ ერთხელ და სამუდამოდ,
უცხო ძალეებთან ერთად ქვეყნის წინა-
აღმდეგ მოქმედება შეწყვეტონ“, - ამ-
ბობს პიპინაძე.

მისივე თქმით, რა თქმა უნდა, ამ ზეწოლას
აქვს ერთი მიზანი, რომ როგორც საქართვე-
ლოს ხელისუფლება გატყდეს და შიდა დაპი-
რისპირება გამოიწვიოს. სხვაგვარად ოპოზიცია,
რომელიც ხალხს არ სურს, ხელისუფლებაში
ვერ ბრუნდება. „ოცნება“ ახლა იმაზე მეტად
ძლიერი და ერთიანია, ვიდრე 2 წლის წინ იყო.

„ის ძალები, რომლებიც აქ პოლი-
ტიკურ პროცესებს გეგმავენ, ფსონს
დღევანდელ ოპოზიციასაც დებენ. იმა-
ზე მეტყველებს, რომ ისინი აქ მიმდი-
ნარე პროცესებში ვერ ერკვევიან. ეს
ოპოზიცია არ არის ის ძალა, რომელიც
შესაძლოა ხელისუფლებამ მოვიდეს.
ამიტომ მისი რეველუციის გზით მოყ-
ვანა სურთ. არც ეს არ გამოსდით, რაღ-
ბან ხალხი ამ მანქანაზე მიხვდა და
მუხარამ რამდენიმეჯერ არ მიჰყვება. ასე-
ვე, ძალიან ფხიზლად არიან ჩვენი სპეც-
სამსახურები. შესაბამისად, დარტყმას
ახორციელებენ მოსამართლეებზე და
სხვა სახელისუფლებო თანამდებობის
პირებზე, მაგრამ არც ეს ამართლებს.
ხელისუფლება გუნდის შიგნით სიმშვი-
დეს და პრინციპულობას ინარჩუნებს.
ამას თან ახლავს კანონის გამკაცრება
და ასეთი დესტრუქციული ქმედებების
წინააღმდეგ ნამდვილად კანონის გამ-
კაცრებაა საჭირო. არადა, ზუსტად ამ
ქვეყნებში მოქმედებს ასეთი კანონები
აქციის მონაწილეების წინააღმდეგ. რო-
გორ შეიძლება საფრანგეთი გველაპა-
რაკებოდეს უსამართლობაზე, პოლიტი-
კურ დევნაზე, როცა ოპოზიციის ყველაზე
პოპულარულ და გავლენიან ლიდერს
მარი ლე პენს არჩევნებში მონაწილე-
ობა აუკრძალეს და შესაძლოა დააკა-
ვონ კიდევაც. ეს ორმაგი სტანდარტე-
ბი ქართველმა ხალხმა პარგად დაინახა
და ეს ტერორი, რომელიც ვიზალიზე-
რალიზაციის შეწყვეტას ეხება, არ მუ-
შაობს“, - ამბობს პიპინაძე.

ლიკა პერიკაშვილი

უნგრეთი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოდან გასვლას გეგმავს


ამის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლების“ უნ-
გრული გიჟო ავრცელებს.

როგორც მედიასაშუალებებისთვის გახდა ცნობილი, ამის შე-
სახებ იუსტიციის მინისტრმა ბენცე ტუჟონმა გასულ კვირას ელ-
ჩებთან დახურულ შეხვედრაზე განაცხადა.

ჰაბის სასამართლოდან უნგრეთის გასვლას უნგრეთის პარ-
ლამენტმა უნდა უყაროს კენჭი. ინიციატივის ხმათა უმრავლეს-
ობით დამტკიცების შემთხვევაში იწყება ოფიციალურად გას-
ვლის პროცესი, რაც შესაძლოა, ერთი წელი გაგრძელდეს.

მედიასაშუალებების წყაროს ცნობით, დადგენილების პროექ-
ტი უნგრეთის ეროვნული კრების ვებგვერდზე, შესაძლოა, უახ-
ლოს პერიოდში გამოქვეყნდეს. 2 აპრილს უნგრეთში ვიზიტით
ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიახუ ჩადის, რომლის
წინააღმდეგაც ჰაბის სისხლის სამართლის საერთაშორისო სა-
სამართლოს დაკავების ორდერი აქვს გაცემული.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა 2024 წლის
ნოემბერში განაცხადა, რომ ჰაბის სასამართლოს ორდერს არ
შეასრულებდა.



უნდა გამხდარიყო სამეგრელოს სკოლებში (თადა ამორდის რუსულ-ქართული შერეული ანბანით შედგენილი სასკოლო სახელმძღვანელო „დიდა-ნანა“ – პ.პ.). თ. ამორდის კარგი ადგილი მისცეს, მატერიალურად უზრუნველყვეს, თან დაეხმოს, ზუგდიდის მხარეში ქართული ენა, თუკი სადმე არსებობდა ასეთი, სკოლებიდან განედევნა და ხელი შეეწყო რუსული ენის განმტკიცებისათვის. ამორდის, თავის მხრივ ავერტემიც გაუჩნდნენ და გაჩაღდა საქმე. სამეგრელოს სკოლა გადაიქცა ზავშეგების დაჩაღუნებისა და გადაგვარების ერთგვარ ქარხნად... ამორდის უნდა ეთარგმნა საღმრთო წერილი ქართულიდან მეგრულად. ეს, ლევიცკის აზრით, სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართულ ენას განდევნიდა. მაგრამ მთელი სამეგრელო, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა ასეთი უხამსობისა და

ლი რიგი ერთგვარად „კლასიკური დოკუმენტები“ და ამონაწერები მოჰყავდა ამ „ლირ-სმესანიშნაობებიდან“ (მისი მეტაფორაა – პ.პ.): „სამეგრელოს მშრომელები მოვლიან განთავისუფლებას საქართველოს ისტორიულად და იურიდიულად უსაფუძვლო სუვერენიტეტისაგან, რომელსაც მხარს უჭერს მხოლოდ „იმპერიალისტური ელემენტი“; „სამეგრელოს მშრომელი ხალხი გმინავს ქართველების უღელქვეშ“; ეს ხალხი „მეფერთა და რუსეთის 1804 წლის ტრაქტატით და ალექსანდრე მეორის ბრძანებით, რაც სწავს რუსეთის სახელმწიფო არქივიდან“... ლ. ბერია სარკასტულად შენიშნავს, თურმე მეფის რუსეთის აქტებში, რუსეთის იმპერიის არქივებში „სამეგრელოს მშრომელი მასები“ ეძებენ კანონიერ საბუთებს ავტონომიისთვის, თურმე 1867 წელს სამეგრელოს გლეხობამ თავისი ზედ-იღბლის ხელმძღვანელობა სამუდამოდ ჩააბარა რუსეთს და ჩამოაგდო თავისი მწავრელი მეფე ავტოკრატიო და სვამს

ბრალს სდებს ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს, განსაკუთრებით, კომიტეტის პირველ მდივანს ისაკ ჟვანიას: ყველაფერი ეს იქნებოდა უმსგავსი ფარსი, მაზრის ზოგიერთ ხელმძღვანელს ამ იდიოსთვის მხარი რომ არ დაეჭირა, მათ შორის ამხ. ჟვანიასაც.

უმალვე, 15 სექტემბერს, „კომუნისტმა“ დაბეჭდა ი. ჟვანიას საპასუხო წერილი, სადაც ამტკიცებს, ჩემს მიმართ ლ. ბერიას ბრალდება ან გაუგებრობაზეა ავებული ან ყალბ ინფორმაციაზე: ამხ. ლ. ბერიას არავინ ელავება, მით უმეტეს არ ვედავები პირადად, მე ამ ჯგუფისა და სხენებული დოკუმენტების დახასიათებაში. პირიქით, უფრო სამარცხვინო მოძვე გაუგებარი მე მათი „მოღვაწეობა“ დღემდე და მომავალშიც ასე მოვიქცევიო. მისი აზრით, სამეგრელოს ავტონომიის მოითხოვეს „ერთი მუჭა ფანტაზიორები, რომელიც არაა დამყარებული მშრომელი ხალხის სურვილებზე... მის როგორც პოლიტიკურ, კულტურულ, ისე ეკონომიკურ ინტერესებზე და მას ხელს არ უწყობს ქვეყნის ობიექტური პირობები. ასეთი ავტონომია არის ავანტიურა, ხოლო მისი ინიციატორები – წმინდა წყლის ავანტიურისტები“.

ალეკო ასლანიშვილი

მეგრელოთა საქმე

აპრილი, გაფალუ, ქვანია

იაკობ გოგებაშვილი აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ყოვლად გაუგებარი მოსაზრებით „მეგრული კილო-სათვის გამოგონებულია განსაკუთრებული ალფაბეტი, რომელიც საშვადით თვითმგებურად შეცვლილი რუსული ასოებისაგან შედგება“.

ჩვენ ახლა წინ გვიდევს, მაგალითად, არ ვიცით ვის მიერ შედგენილი „მეგრული ანბანი“ (თბილისი, 1899წ.), რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს სამეგრელოს სკოლებში მეგრული ზავშეგებისათვის შემოუღიათ როგორც რუსული ენის სახელმძღვანელო. ამ ანბანში ორ სვეტზე დაბეჭდილია პარალელური ტექსტი მეგრულ (შეცვლილი რუსული შრიფტით) და რუსულ ენებზე... პირდაპირ გაუგებარი რჩება, რა საჭირო იყო რუსული ასოების შეცვლა და ახალი, ყველასთვის უცნობი ალფაბეტის შექმნა, მაშინ, როდესაც არსებობს მეგრული კილოსათვის სრულიად შესაფერისი ქართული ალფაბეტი, რომელიც არავითარ შეცვლას არ მოითხოვდა“.

თუ როგორ მოხდა ეს, დანვრისგან გვიამბობს თედო სახოკია „მცოდნის“ ფსევდონიმით ხობის რაიონულ გაზეთში 1933 წელს (№6-7) დაბეჭდილ სტატიას, რომელსაც საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1925 წლის 23 ექტემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მისივე თავმჯდომარეობით გამართულ „ტფილისში მცხოვრებ სამეგრელოს მკვიდრთა კრებაზე“ წაკითხული მოხსენება (ეს სტატია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1992 წლის 12 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა თედო სახოკიას შვილიშვილმა, ქალბატონმა შუქია აფრიდონიძემ):

„კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის მარჯვენა ხელმა, იმერეთის სკოლების საგუმერნო ინსპექტორმა ლევიცკიმ ხონის სემინარიის მასწავლებელს პეტროვს მეგრეთათვის ცალკე ანბანი შეადგენინა, რა თქმა უნდა, რუსული ასოებით (პეტროვმა პეტერბურგელი ენათმეცნიერის ალ. გრენის მიერ შედგენილ „მეგრულ ანბანზე“ დაყრდნობით რუსული შრიფტით შექმნა თავისი „მეგრული ანბანი“ – პ.პ.) და ხონის სემინარიის მუშაკის, შემდეგში „ცნობილი“ თადა ამორდის სამუალებით მეგრული ხალხური ზღაპრები თუ ლექსები ჩაანერგა. ეს სახელმძღვანელო

არამკითხველს ღირსუფლებების წინააღმდეგ. სამეგრელოს მკვიდრთა ეს კოლექტიური გულისწყრომა და აღშფოთება გამოიხატა მაშინდელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის დასაბუთებულ მოხსენებაში, რომელშიც სამეგრელოს წარმომადგენელი ერის კაცნი, სხვათა შორის, ნიკო (დიდი) დადიანი მისთვის ჩვეული ოსტატობით ამტკიცებდა ასეთი განზრახვის მთელს უგვანობას და უსაფუძვლობას.

ეპისკოპოს გრიგოლის მოხსენებამ ერთხანს შეაჩერა მეგრულად საღმრთო წერილის მთარგმნელნი და მაშასადამე, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენაც დარჩა. მაგრამ, ამა, საქართველოს საეგზარქოსოს საეპარქიო სკოლათა მეთვალყურედ დანიშნეს დეკანოზი ივ. ვოსტოგოვი, რომელიც თამამად იძახდა, მეგრელები სხვანი არიან, ქართველებთან საერთო არაფერი აქვთ და ამიტომ ქართული ენა მათ სკოლებში არ უნდა ისწავლებოდეს, მის მაგიერ რუსული, სახელმწიფო ენა ასწავლეთ. მანამდე არ გაჩერდა, სანამ აკადემიკოსმა ნ. მარმა მინასთან არ გაასწორა მეთვალყურე დეკანოზი.

1905 წლის რევოლუციამ ცოტათი შეანელა რუსიფიკატორების გულმოდგინება. შემდეგ მწელეთის ძალები ისევ ამუშავდნენ. 1918 წ. ფოთში მასწავლებელ სტეფანე გაგუას ინიციატივით უკვე თვით მეგრელები გამოვიდნენ ლევიცკი-ვოსტოგოვის მიერ დანერგული საქმის გამგრძოში, როგორც მოხალისე (სტ. გაგუა, მ. კანკაბაძე და სხვებმა მათ მიერ შექმნილ ჯგუფს მაფილ უწოდეს. მაფილუ ნიშნავს საწყისს, რომელიც მოწოდებულია გაფურჩქნა-აყვავებისათვის – პ.პ.). მაგრამ ყველას ბაღდათა ბაღდათად მიგვაჩნდა მათი ცოდვანი და სერიოზულობაში არ ჩამოვყრივით, სანამ 1925 წელს, როცა ყველაზე ნაკლებად მოველოდით ასეთი ავადმყოფობის გაღვიძებას, ზუგდიდში დაიწყო ავტონომიის ნიადაგის მზადება – წერს დასასრულ თედო სახოკია. ეს მართლაც არ იყო „ბაღდათა ბაღდათა“.

1925 წლის 13 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ლავრენტი ბერიას წერილი „მეგრელი ავტონომიების შესახებ“. ავტორი მეგრეთა ერთ ჯგუფს ბრალს დებდა ავტონომიზაციის იდეით გატაცებაში, რომ ისინი ქმნიდნენ დოკუმენტებს და მათ უგზავნიდნენ სსრკ ცაკ-ს, ამიერკავკასიის ფედერაციის შესაბამის სტრუქტურებს, საქართველოს კ(მ) ცენტრალურ კომიტეტს.

ლავრენტი ბერი წერდა, ჩემ წინ დევს მთელი



ბურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი

კითხვას: „ხოლო არ არის ეს მორიგი ოინები თავზე ხელაღმებლ კონტრევოლუციონერების, რომლებიც ყველა ძალდონით ცდილობენ გათხარონ უფსკრული საქართველოში მცხოვრებ ტომებს შორის?“

ლ. ბერია ჩამოთვლის ამ „სახალხო მოძრაობის ზედაღებს“: მიშა დადიანი, ვლადიმერ ბუკია, კოსტა კოლასონია, გრიგოლ ახალაია, პარმენ ხურცილავა, ვლადიმერ გრიგოლია, მიქტორ ნანეიშვილი, გური საჭაია, სოლომონ ჯგერენია, ჯიქია, ვეკუა, ქობია, როგავა, თორდია. ეს ჯგუფი სოციალური შემადგენლობით მეტად ჭრელია: აქ არიან თავადები, აზნაურები, სოციალ-ფედერალისტები, მენშევიკები, ყოფილი კომუნისტებიც.

ავტორი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს: საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც დგას ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების სადარაჯოზე, რა თქმა უნდა, მისცემდა სამეგრელოს ავტონომიას, ეს რომ რაიმეთი იყოს გამოწვეული. მაგრამ სამეგრელოს არც ეკონომიკური, არც კულტურული, არც ყოფა-ცხოვრებისა და, ბოლოს, არც ისტორიული პირობები არ წარმოადგენს საფუძველს ლაზ-კოლხეთის ავტონომიის შესაქმნელად და საბჭოთა საქართველოსაგან მის ჩამოსაგლეჯად. სამეგრელოს ავტონომია – ეს ნაბიჯი უკან გადადგმა, ეს არის ნახტომი 300 წლით უკან. განგაში, რომელიც ამ ერთმა ჯგუფმა ასტეხა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოსო.

ავტონომისტთა მხარდაჭერაში ლ. ბერია

ი. ჟვანიას გამოხმაურება პირველი იყო. მას სხვა კრიტიკული წერილებიც მოჰყვა („კომუნისტი“, 1925წ. 15, 16, 17, 24 სექტემბერი). მ. კვარაცხელია, დ. თოფურიძე, ვ. მასხელია, მ. მოგირაძე ასაბუთებდნენ სამეგრელოს ავტონომიის იდეის აბსურდულობას, მავნეობას, ქართველი ერის ინტერესების ლალატად აცხადებდნენ მას.

23 სექტემბერს, საღამოს, რუსთაველის თეატრში შედგა თბილისში მცხოვრებ მეგრეთა კრება. მას უმარაგი ხალხი დაესწრო. როგორც „კომუნისტი“ 24 სექტემბერს წერს, მთელი აუდიტორია სამეგრელოს „ავტონომიის“ წინააღმდეგ იყო განწყობილი, „აქა-იქ, დარბაზის ზოგიერთ კუთხეში მაინც იყვნენ განზრებული მუკონია-ახალაიას ორდენის წევრები, რომლებიც ცდილობდნენ ოპოზიციის შექმნას, მაგრამ მათი თაობიანობა გამოიხატებოდა მხოლოდ ულაშაზო წამოძახილებით და პრეზიდენტის სახელზე უსუსური შევითხვების გაგზავნაში“.

გიორგი ჟორდანიას წინადადებით პრეზიდენტში აირჩიეს: თედო სახოკია (თავმჯდომარე), აკაკი ფაღავა, დიომიდე თოფურიძე, ბართლომე პატარაია და ანდრო თოდუა, პრეზიდენტის საპატიო წევრად – ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორი.

თედო სახოკიას მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს დიომიდე თოფურიძემ, ანდრო თოდუამ, ბართლომე პატარაიამ და აკაკი ფაღავამ, რომლებმაც აღნიშნეს „ავტონომისტების“ გამოცვლების მავნეობა და კრებას მოუწოდეს „სასტიკად დაიგმოს მუკონია-მესელიას და მძათა მათა მოქმედება“.

აკაკი ფაღავას სიტყვებს, საქართველოს მთავრობისაგან კატეგორიულად მოვითხოვთ სასტიკი ზომები მიიღოს საქართველოს, კერძოდ, სამეგრელოს მშრომელი ხალხის მოლაპატეთა მიმართ, დარბაზი მქუხარე ტამით შეხვდა.

დასასრულ კრებას სიტყვით მიმართა კონსტანტინე გამსახურდიამ. „მოქალაქნო, ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ერთხელ ვიდე შევარცხვინოთ ის ხალხი, რომლებსაც უნდათ სამეგრელოს ჩამოჭრა საქართველოს მთლიანი სხეულიდან. ჩვენ მხოლოდ ზიზლით უნდა გავუმასპინძლოდეთ მათ, რადგან ზარბაზნების სროლა ჭიანჭველების წინააღმდეგ, არ ღირს. რას გვეუბნებიან ჩვენ სამეგრელოს ავტონომისტები: დაივიწყეთ რუსთაველის, ჩახრუხაძის, დავით გურამიშვილის ენა და იკითხეთ მუკონიის წიგნები. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვთქვათ ჩვენი გადამწყვეტი სიტყვა ამ მახინჯ მოვლენის წინააღმდეგ და მოვითხოვთ მთავრობას მისი ძირიანად მოთხრა,“ – თქვა მწერალმა.

მიიღეს რეზოლუცია: „კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს არის გაგრძელება იმპერიალისტური რუსეთის გამოთიშავი პოლიტიკისა, რაც მიმართული იყო ქართული ეროვნული ოჯახის დაქ-

საქსისა და საქართველოს, როგორც მთლიანი ეროვნული ერთეულის მოსაზრებები... ამ მხელე პოლიტიკანებს არავითარი-არც ზნეობრივი – არც იურიდიული, არც პოლიტიკური უფლება არა აქვთ ილაპარაკონ სამეგრელოს სახელით. სამეგრელო, კულტურით და სისხლით, წარმოადგენს მთლიანი საქართველოს განუყოფელ ნაწილს... სამეგრელოს მკვიდრთა საერთო კრება კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს მთავრობისგან მიღებულ იქნას სასტიკი ზომები ასეთი უმსგავსი შავრამზული მოვლენის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

24 სექტემბრის შემდეგ პარტიულ პრესაში ამ საკითხზე დისკუსია შეწყდა. მაგრამ „მატალიები“ გაგრძელდა ზუგდიდის მახრამში.


ამ პროცესს აშუქებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საისტორიო ალმანახ „კლიოს“ მე-9 ნომერში (2000 წ.) გამოქვეყნებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე დაუშვილის ნაშრომი „დეცენტრალიზაციის პროცესები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში“, რომელიც საარქივო მასალებზე დაყრდნობით წარმოგვიჩენს „სამეგრელოს ავტონომიის“ პერიპეტებს.

1925 წლის ნოემბერში ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა მაზრის დარჩეულის უზნის პარტიული უკრები, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მიხა მამფორია. დარჩეულის უზნის მე-7 პარტკონფერენციამ სერიოზული ბრალდებები წაუყენა სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას – აკაკი ქანთარიას, გეგი მერაბის, გრიშა შელიას და ისაკი ჟვანიას: „მათ გახსნიათ ნარკომობის მაღა, მაზრის თავმჯდომარეობა და მაგისტანები თურმე ეცოტავათ... დაიწყეს აგიტაცია სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნით“. იქვე გაპროტესტებული სამეგრელოს ავტონომიის მოთხოვნის მოსაზრება და „ამით სამეგრელოსა და საქართველოს შორის შუღლის დაღება“. დარჩეულის რაიკონფერენცია თავის დადგენილებაში უცხადებს „ზიზღს და სასტიკ პროტესტს აკაკი ქანთარიას, გეგი მერაბის, გრიშა შელიას და ისაკი ჟვანიას... კონფერენცია მოითხოვს ზემოდასახელებული პირების მამრიდან გაძევებას“.

საინტერესო სურათი იკვეთება: აშკარაა, რომ „კომუნისტები“ დაბეჭდილი ლავრენტი ბერიას წერილით შეგულიანებული ოპოზიციური ძალები შეტევებზე გადადიან და ამ შეტევებში ერთ-ერთ მთავარ იარაღად მაზრის ხელმძღვანელობის მიერ სამეგრელოს ავტონომიის საკითხის წამოწევა აქვთ მომარტყმული, აშკარად დებენ ბრალს მათაულებელთან კავშირში.

მაგრამ იმუჟამდ სამაზრო კომიტეტმა სძლია „დარჩეულის ოპოზიციას“ და მისი ლიდერები: მიხა და პროფი მამფორიები, ალექსანდრე ქირია, მაქსიმე ხვიჩია პარტიიდან გაიყვანა.

ზუგდიდისა და დარჩეულის შორის მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ მასში საქ. კპ(მ) ცენტრალური კომიტეტი ჩაერია. 1925 წლის 21 ნოემბრის დარჩეულში კვლავ გაიმართა პარტიული კონფერენცია, რომელზეც გააუქმეს ყველა წინანდელი გადაწყვეტილება მამ-



თეოდორ სახოკია

კომის მუშაობის შესახებ. დაადგინეს, რომ ბრალდება „აკაკი ქანთარიას, ისაკი ჟვანიას და მისი ამხანაგების მიერ სამეგრელოს ავტონომიის თაობაზე მალული აგიტაციის განხრის შესახებ... არის სრული სიცრუე და შეურისძიება მთელ ორგანიზაციაზე, ამასთან არაკომუნიტური საქციელი“.

ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის კონფერენციაზე ქართველ კომუნისტთა ერთ-ერთმა ლიდერმა საშა გეგეჭკორმა სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობას დაუჭირა მხარი, მკაცრად გააკრიტიკა მამფორიები და ორგანიზაციიდან „ამ ბაყილების“ მოშორება მოითხოვა.

მიხა მამფორიასთან დაკავშირებულ რეზოლუციაში ნათქვამია: მის მიერ დარჩეულის პარტკონფერენციაზე წარმოთქმული ბრალდება, თითქმის სამაზრო კომიტეტი აგიტაციას და პროპაგანდას, ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა სამეგრელოს ავტონომიის სასარგებლოდ, ამეგრეულია სრულ სიყალბეზე. დღეს კონფერენცია თამამად შეუძლია აღნიშნოს, რომ ავტონომიის სასარგებლოდ წინათ წარმოებული მუშაობის ნატამალიც არ არი დარჩეული.

ალექსანდრე დაუშვილი მართებულად შენიშნავს, აშკარაა, რომ საქართველო კპ(მ) ცენტრალურმა კომიტეტმა არ მოისურვა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტთან ამ ეტაპზე ურთიერთობის გაფუჭება, საკითხი ამოწურულად ჩათვალა და თვალის დახუჭა ინფორმაციაზე, რასაც მიხა მამფორია და მისი ჯგუფის წევრები აწვდიდნენ.

ასე იყო თუ ისე, 1925 წლის შემდეგ ავტონომიის თემაზე ზუგდიდის მაზრაში ყოველგვარი ოფიციალური საუბარი შეწყდა.

ეს „სიმშვიდე“ თითქმის 3 წელი გაგრძელდა. ქარიშხალის ამოსავარდნად მიძგი იყო საჭირო...

1928 წელს საქართველოს ეწვია სკპ(მ) ცენტრალური კომიტეტის სპეციალური კომისია პენიციის ხელმძღვანელობით. შემოიარა საქართველო, მათ შორის ზუგდიდის მაზრა და თავისი მოსაზრებები წარუდგინა როგორც თბილისის, ისე მოსკოვის.



ისაკ ჟვანია

იმავე წლის 25 სექტემბერს საქ. კპ(მ) ცეკას IV პლენუმზე, სადაც პენიციის მოხსენება მოისმინეს, გაიჟღერა სამეგრელოში მეგრულ ენაზე ბროშურების გამოცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

პლენუმზე გამოიკვეთა ორი მიმართულება:

I. „მართალია ჩვენთან იყო ერთი რეაქციული მიმდინარეობა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, ეს არის ის, რომ სამეგრელოს თვლიდნენ სრულიად დამოუკიდებელ ნაწილად საქართველოსგან... ამის წინააღმდეგ უნდა ვიმბძოლოთ, მაგრამ იმის წინააღმდეგ, რომ მეგრულ გლეხს მიეცეთ რაიმე მეგრულ ენაზე, ამის წინააღმდეგო არავის არაფერი არ უნდა ჰქონდეს“ (გამუნი);

II. „თუ თქვენ დღეს გამოსცემთ ბროშურას მეგრულ ენაზე, ხვალ გაიხსნება ცხრაწლელი, ხოლო მე შექმნიან ავტონომიურ რესპუბლიკას“ (კობახიძე).

აქ პატარა „გადახვევა“.

პენიციის კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, აზერბაიჯანელმა სეით კადიროვმა მოგვიანებით (1929 წელს) სკპ(მ) ცკ-ის სახელზე დაწერა წერილი, რომელშიც ამ კომისიის მიერ საქართველოში ჩატარებულ შემოწმებასთან დაკავშირებით პირადი შეხედულებები ჩამოაყალიბა. კადიროვი თავის ვრცელ წერილში ცდილობს დაასაბუთოს, რომ არსებობს საქართველოს დიქტატი აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის მიმართ, მათი პრობლემებისადმი ცენტრის გულგრილი დამოკიდებულება (ხედე მით, საიდან იღებს სათავეს ა. სახაროვისეული „საქართველოს მცირე იმპერიის“ თეორია?).

კადიროვი სამეგრელოსაც ეხება და აღნიშნავს, ზუგდიდში მოგვიწყვეს 300-კაციანი შეხვედრა, სადაც გვიტხრეს, რომ „მეგრელებს არა აქვთ რესპუბლიკა... საქართველო ეწევა სამეგრელოს მოსახლეობის თვითმყოფადობის, სახის დაკარგვის პოლიტიკას მისი ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებად დაყოფის გზით, ცალკეულ რეს-



კონსტანტინე გამსახურდია

პუბლიკებში, მაზრებში გადანაწილების გზით...

ამ შეხვედრაზე მისთვის თურმე ვილაცას ისიც უთქვამს: „ჩვენ დაგხოცავთ მოელ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკას მიჰყიდა მეგრული გლეხების ინტერესები“.

ალ. დაუშვილი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება მთლიანად ინსინუაცია იყოს, მაგრამ არც იმას გამოორიხავს, რომ კომისიას ან კადიროვს ვინმემ მართლაც რაღაც ინფორმაცია მიანოდა, რაზეც ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობის მთელი მუშაობა მიუთითებს 1930-1933 წლებში.

კადიროვის წერილმა ქართველ კომუნისტებში დიდი აურზაური გამოიწვია. ამ წერილის შემდეგ აშკარად ალაპარაკდნენ „საქართველოში დიდმეგრელობის მოვინების ელემენტების“ შესახებ. განსაკუთრებით შესაძინევი იყო ეს 20-იანი წლების მიწურულის პარტიულ ფორუმებსა და შეკრებებზე. ამ საერთო ფონმა გარკვეულად წახალისა მათაულებელი. ამიტომ ისინი ცდილობდნენ თავიანთი პოზიციები უფრო აქტიურად დაეცვათ თბილისში, ვიდრე ზუგდიდში.

სამეგრელოს ავტონომიისათვის ბრძოლის ახალი ტალღა 1929 წლის 31 მარტს დაიწყო, როცა ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პლენუმზე ი. ჟვანიამ თავის მოხსენებაში მეტად შეფარვით დააყენა საკითხი დასავლეთ საქართველოში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული გამიჯვნის ახალი პრინციპების შესახებ.

პლენუმმა მეორე საკითხიც განიხილა: „მეგრული ენის შესახებ“. ძირითადი მომხსენებელი ისევ ისაკი ჟვანია იყო. მან განმარტა, თუ რატომ დააყენა ზუგდიდის პარტორგანიზაციამ ცეკას წინაშე მეგრული ენის საკითხი: „იმიტომ, რომ ყველა ის, გლეხებისათვის ელემენტარული საკითხები მათთვის გაგვეშუქებინა, გავაგებინოთ მშრომელ გლეხობას მშობლიურ ენაზე ის, რის გავგებასაც მისგან მოითხოვს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები“.

პლენუმზე ი. ჟვანიამ უდიერად მოიხსენია თვალსაჩინო ქართველი მამულიშვილები, რომლებმაც 1925 წელს პროტესტი გამოთქვეს ზოგიერთი ცდის გამო, ბარიერი აღემატათ მეგრულსა და დანარჩენ საქართველოს შორის და ქართული ეკლესია, რომელიც თავის დროზე წინ აღუდგა ცარიზმის მიერ ეკლესიაში მეგრულ ენაზე წიგნის შემოღებას.

(გაგრძელება იქნება)



აკაკი ჯახია



საშა გეგეჭკორი



ლეონიდა თოფურიძე

BBC NEWS РУССКАЯ СЛУЖБА

Главная Война в Украине Сводка потерь Истории Видео Фильмы Подкасты

«В торговых войнах нет победителей». Как реагируют на тарифы Трампа в мире



ბრიტანული საგარეო საზღვარების „ბიზნისი“ (BBC) ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სარედაქციო ანალიტიკური მიმოხილვა სათაურით „სავაჭრო ომებში გამარჯვებულები არ იქნებიან“: როგორ რეაგირებენ დონალდ ტრამპის ახალ ტარიფებზე მსოფლიოში.

„დონალდ ტრამპის გადაწყვეტილებამ ე.წ. „გაზრდილი ტარიფების“ შემოღების შესახებ მთელ მსოფლიოში მწვავე კრიტიკა გამოიწვია. გაზრდილი მთელი გამოცხადებულია სავაჭრო ომის ნებადართი შედეგებისა და საპასუხო ზომების მიღების თაობაზე ლაპარაკობენ როგორც ევროპაში, ისე აზიაში. აშშ-ის ზოგიერთი ახალ მოქალაქეში-სათმის ახალი გაზრდის დაწყება მოულოდნელი აღმოჩნდა“, – ასეთია პუბლიკაციის დედააზრი.

გთავაზობთ სტატიას მსოფლიოში:

დონალდ ტრამპის ბრძანებულების თანახმად, ახალი ტარიფები გამოცხადებული იქნება ყველა სახელმწიფოს მიმართ. აშშ-ის საგარეო ანუ მინიმალური საგარეო გადასახადი იმპორტირებულ საქონელზე ამჟამად 10%-ს შეადგენს. ცალკეული სახელმწიფოების მიმართ დადგენილია გავრცელებული უფრო მაღალი ტარიფები:

ჩინეთისათვის – 34%, ევროკავშირისათვის – 20%,
იაპონიისათვის – 24%, ინდოეთისათვის კი – 26%.



საფრანგეთი: „დაზარალებულებს დაუხმებარებო“

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა თავისი ამერიკელი კოლეგისა და ნატოელი მოკავშირის ნაბიჯს „დაუნდობელი და დაუსაზღვრელი“ უწოდა და განაცხადა, რომ აშშ-ის გადაწყვეტილება სერიოზული სახით ასახება ევროპის ეკონომიკაზე. მან ელისეის სასახლეში ფრანგული ეკონომიკის იმ სექტორის წარმომადგენლები მიიღო, რომლებიც სხეულზე მტად დაზარალებულნი არიან აშშ-ის მიერ შემოღებული ახალი ტარიფების გამო, კერძოდ, მეღვინეობის ინდუსტრიის ბიზნესმენები და მათ სახელმწიფო სუბსიდიებით დახმარება აღუთქვა. სხვათა შორის, ბევრი მათგანი უკვე აღრევს იყო გაზრდილი ტარიფების მსხვერპლი, მაგალითად, ჩინეთისაგან.

„ევროკავშირი აშშ-ში 500 მილიარდის პროდუქციის ექსპორტს ახდენს და მათგან დაახლოებით 70%-ზე ახალი ტარიფები იმოქმედებს, თუმცა ეს ციფრი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია“, – თქვა ემანუელ მაკრონმა.

საფრანგეთის მეთაურის განცხადებით, დღეს ევროკავშირის ქვეყნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთ გუნდად გამოსვლა ამერიკელი ტარიფებისაგან თავის დასაცავად. ემანუელ მაკრონმა საზოგადოებას, რომ ევროკავშირის ძალა ევროპულ ბაზარშია, რომელიც 450 მილიონ მომხმარებელს ითვლის და ეს ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ამერიკელი ბაზარი.

პრეზიდენტმა ასევე მოუწოდა ფრანგ ბიზნესმენებს შეაჩერონ ფრანგული ინვესტიციების ჩადება აშშ-ის ეკონომიკაში მანამ, სანამ არ იქნება შემუშავებული მომდევნო გადაწყვეტილებები ახალ პირობებში.

ევროკავშირი: „პაუზისმიღება დონალდ ტრამპს...“

როგორც ევროპის კომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილება „მსოფლიო ეკონომიკისადმი მიყენებულ სერიოზულ ღარტყმას წარმოადგენს. მისი შედეგი საშინელება იქნება მილიონობით ადამიანისათვის მთელ მსოფლიოში, – აღნიშნა მან „ევროკავშირი-ცენტრალური აზიის“ სამიტზე გამოსვლისას უზბეკეთის ქალაქ სამარყანდში.

ევროკომისიის ხელმძღვანელმა დონალდ ტრამპი გაათვითილა, რომ ევროპა საპასუ-

„სავაჭრო ომებში“ პერავინ იმარჯვებს!..

ხო ზომებს მიიღეს, თუ ვაშინგტონი ბრიუსელთან მოლაპარაკებას არ მოისურვებს.

„ჩვენ უკვე ვამთავრებთ მუშაობას კონტრზომების პირველ პაკეტზე, რომელიც ევროპულ ფოლაზე აშშ-ის მიერ დაწესებულ ახალ ტარიფებს ეხება. ახლა კი ვეშაღებთ შემდგომი კონტრზომების მისაღებად – ჩვენი ინტერესებისა და ჩვენი ბიზნესის დასაცავად – შემთხვევისათვის, თუ მოლაპარაკება ჩაიშლება ან საერთოდ არ გაიმართება“, – თქვა ურსულა ფონ დერ ლაიენმა.

ირლანდიის ვიცე-პრეზიდენტმა საიმონ ჰარისმა განაცხადა, რომ „ევროკავშირმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს და პასუხი აწვინდოს დაწინაურებულ უნდა გასცეს“, თან დაამატა, რომ „ირლანდია მზადაა გადაწყვეტილების ძიებისათვის აშშ-სთან მოლაპარაკების საფუძველზე“.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა ჯორჯა მელონიმ – იგი ერთდღერთი ევროპელი ლიდერია, რომელიც იანვარში დონალდ ტრამპის ინაუგურაციას დაესწრო ვაშინგტონში, – განაცხადა, რომ თეთრი სახლის გადაწყვეტილება ტარიფების ზრდის თაობაზე „არასწორი ნაბიჯია“ და იტალიელებს აღუთქვა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა ამერიკასთან შეთანხმებას მიაღწიოს და სავაჭრო ომი თავიდან აიცილოს“.

„ჩვენ არ გვსურს სავაჭრო ბარიერების ზრდა. ჩვენ არ გვსურს სავაჭრო ომი, რომელიც ჩვენს გააღრმავებს, მსოფლიოში კი სამომავლოდ სახიფათო დაძაბულობას შექმნის“, – განაცხადა შვედეთის პრემიერ-მინისტრმა ულფ კრისტერსონმა.

პაკინი:

„სავაჭრო-საბარბო
ომებში გამარჯვებული
არ არსებობს“

ჩინეთის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც დაგმობილია აშშ-ის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და გამოხატულია შექა-

რა, რომ პეკინი აუცილებლად მიიღებს საპასუხო ღონისძიებებს თავისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

„სავაჭრო და სატარიფო ომებში გამარჯვებულები არ არსებობენ, პროტექციონიზმი კი გამოსავალი არ არის“, – ხაზგასმულია დოკუმენტში, – ამერიკამ უნდა გამოასწოროს თავისი შეცდომა და სავაჭრო დავები ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ჩინეთთანაც, კონსულტაციების გზით უნდა გადაწყვიტოს – თანასწორობის, ურთერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლო საფუძველზე“.

იაპონია:

„რა დაუპაუპო?“

იაპონიის პრემიერ-მინისტრის სიგერე ისიბას განცხადებით, ტოკიო უკიდურესად იმედგაცრუებულია იმით, რომ ამერიკამ იაპონია „დასასჯელთა სიაში მოაქცია“. „ტარიფების ზრდა ნეგატიურ გავლენას მოახდენს ორმხრივ ეკონომიკურ კავშირებზე, მსოფლიო ეკონომიკაზე და მრავალმხრივ სავაჭრო სისტემაზე“.

სიგერე ისიბამ იაპონელ ბიზნესმენებს აღუთქვა, რომ იპოვის დროსა და შესაძლებლობას, რათა პირადად სთხოვოს დონალდ ტრამპს მიღებული გადაწყვეტილების გადახედვა.

ავსტრალია:

„დონალდ, შენ მამოგრები გყავს?“

„გაგონებო ან არ იმეცხიან“, – ასეთი ნიშნით შეაფასა დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება საბაჟო ტარიფების გაზრდის თაობაზე შვედონი ალანგანგამ, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა.

„თეთრი სახლის ადმინისტრაციის მიერ დადგენილი და ტრამპის მიერ გაუღრმავებული ტარიფები არანაირი ლოგიკით არ აიხსნება და ამსოფლიოეზრად ეწინააღმდეგება პარტნიორობის საფუძველებს ჩვენს ქვეყნებს შორის“, – ღრმა სინანულით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა და მოსახლეობას

აღუთქვა, რომ მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის დასაცავად ქმედით ზომებს მიიღებს.

კანადა:

„აშუ ჩვენი მამოგრები, მამრამ...“

კანადის პრემიერ-მინისტრის მარკ კარნის თქმით, „მართალია, აშშ ჩვენი მეგობელია, მაგრამ იძულებული ვართ არაკეთილმოსურნე მეგობრებს მისივე მეთოდებით ვუპასუხოთ“.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ოტავა იმოქმედებს მიზანმიმართულად და თავისი ეკონომიკური ძალის გამოყენებით“.

ისრაელი:

„ამას ნამდვილად არ ვალოდით“

ისრაელმა, რომელმაც ამას წინათ ყველა თავისი საბაჟო გადასახადი გააუქმა ამერიკული პროდუქციის იმპორტზე, „შოკშია ჩაყარნილი“ „დასჯილთა სიაში“ მოხვედრითა და მის წინააღმდეგ 17%-იანი ტარიფის დაწესებით, – წერს ისრაელის მასმედია.

„ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ამერიკა ლმობიერებას გამოიჩენდა ისრაელის მიმართ, რომელმაც საერთოდ გააუქმა ტარიფები ამერიკულ იმპორტზე, მაგრამ შევეცდით“, – ციტირებს ისრაელის პრესა ერთ-ერთი სამთავრობო მაღალჩინოსნის ნათქვამს.

„კრამლი დასჯილთა სიაში არ ჩანს“

სადაა რუსეთი? არც დონალდ ტრამპის სიაში და არც თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებული დამატებითი მასალებში იმპორტულ პროდუქციაზე ტარიფების ზრდასთან დაკავშირებით რუსეთი არ ფიგურირებს.

როგორც თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ქეროლაინ ლევითმა განაცხადა ერთ-ერთი გამოცემის – Axios-ის ჟურნალისტის კითხვაზე, რუსეთი სიაში იმდენად არ არის, რომ ამერიკას შემოღებული აქვს მკაცრი ანტირუსული სანქციები, რაც რუსეთთან ვაჭრობას გამოერიცხავს. პრეს-მდივნის თქმით, სიაში არ იქნა შეტანილი კუბა, ზელარუსი და ჩრდილოეთ კორეა, რომელთა მიმართაც ასევე ძალიან ხისტი სანქციები დაწესებული და სავაჭრო ემბარგო მოქმედებს.

მოამზადა
სიმონ
კილაძე





(მხატვარმა გააჩინა)

თავისი პოლიტიკური ჯალათების ნების უსიტყვოდ შემსრულებელი ლაქები, მათი სისხლიანი ფინანსური პირამიდის ტექნიკური შემქმნელები და „გამპრავებლები“. მაგრამ ამ მონურ მორჩილებამაც ისინი არ არიან „ავთენტურები“ – კომისიური მოსმენების დროს ხშირად გვიწევდა მსოფლიოს ასევე უახლოეს ისტორიასთან მესხიერებითი დაპრუნება და საკუთარი თავის „დეჟა-ვუში“ გამოჭერა: რომ ოდესღაც ვიღაც ზუსტად ასე ემსახურებოდა რომელიღაც დიქტატორულ და ფაშისტურ რეჟიმს.

აღოღოჟ პიტლერის ნაცისტური რეჟიმის დროს ასევე არსებობდნენ ბანკირები, ფინანსისტები და მრეწველები, რომლებიც არა მხოლოდ უჭერდნენ მხარს ნაცისტურ რეჟიმს, არამედ აქტიურად იღებდნენ სარგებელს მისი კრიმინალური პოლიტიკიდან – მათ შორის ებრაელების ქონების ჩამორთმევიდან („არიზაციიდან“), იძულებითი შრომის გამოყენებიდან, სამხედრო შეკვეთებიდან, რეპრესიებიდან და საკონცენტრაციო ბანაკებიდანაც კი.

გავიხსენოთ მათი პერსონები, საქმიანობა და მსხვერპლი მათი: **ჰილმარ შახტი (Hjalmar Schacht)**. თანამდებობა: რაიხსბან-

კის პრეზიდენტი (1933-1939), ეკონომიკის მინისტრი (1934-1937). მახტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1930-იანი წლების გერმანიის ეკონომიკურ აღმავლობაში და შეიარაღების დაფინანსებაში. მან შექმნა რეჟიმის გამდიდრების სპეციალური სქემა, ე.წ. MEFO-ს ვექსელების ფარული დაფინანსების სისტემა. ის თითქმის არ იყო ერთგული ნაცისტის, მაგრამ აქტიურად თანამშრომლობდა პიტლერთან. მისი საქმიანობის კრიმინალური შედეგები: მახტის ფინანსურმა პოლიტიკამ განამტკიცა რეჟიმი, რომელმაც დაიწყო ომი და პოლოკოსტი. მართალია, ნიურნბერგის პროცესებზე ის გამართლდა, თუმცა მისი როლი ნაცისტურ გერმანიაში საკვანძო იყო.

ფრიტ თისსი (Fritz Thyssen) – უმსხვილესი მრეწველი, ფოლადის



იმპერიის Thyssen AG ხელმძღვანელი. აქტიურად აფინანსებდა ნაცისტებს 1930-იან წლებში. 1933 წელს მოაწერა ხელი ცნობილ „მრეწველთა წერილს“, რომლითაც ისინი მხარს უჭერდნენ პიტლერის კანცლერად დანიშვნას. მისი კომპანია იყენებდა სამხედრო ტყვეთა იძულებით შრომას, მონაწილეობას იღებდა და სარგებლობდა ებრაელების ქონების ჩამორთმევის პროცესებში.

ჰილ კრუპი და კომპანია Krupp იარაღის მაგნატი, უმსხვილესი სამხედრო საწარმოს მმართველი. აწარმოებდა იარაღს, ტანკებსა და არტილერიას. ათასობით სამხედრო ტყვესა და მუშახელს იძულებით იყენებდა თავის უამრავ საწარმოში. აქტიურად მონაწილეობდა ებრაელობა ქონების ექსპროპრიაციაში და მასზე აფუძნებდა თავის ფინანსურ პირამიდას. ნი-

დავით ქართველიშვილი:

საქართველოში მიმდინარე „მსირა ნიურნბერგის“ თავისი სამართლიანი განაჩენი უნდა გამოუტანოს ჩვენს რეინკარნირებულ ნეოფაშისტებს!



ჰილმარ შახტი



ფრიტ თისსი

„ნაციზმის“ პროცესები და ასობით-ათასობით გაუგებდურებული ჩვენი ბიზნესმენი და მათი ოჯახის წევრი. ერთ რამეშიც გვინდა დაეინახოთ მსგავსება - 80 წლის წინ გერმანიაში აღდგენილ სამართლიანობასთან. ამისთვის კი საქართველოში მიმდინარე „მცირე ნიურნბერგის“ თავისი სამართლიანი განაჩენი უნდა გამოუტანოს ჩვენს რეინკარნირებულ ნეოფაშისტებს“.

დონალდ ტრამპს მიგრანტების დაპირტახსია მოლდოვასა და კოსოვოში სურს

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია ცდილობს, გააფორმოს შეთანხმება აფრიკის, აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებთან, რომლებიც შეძლებენ აშშ-დან დეპორტირებული მიგრანტების მიღებას, ასეთ შორის არის მოლდოვა და კოსოვო, – ამის შესახებ „უოლ სთრით ჯორნალი“ წერს.



როგორც გამოცემა წერს, შეთანხმება იქნება ერთჯერადი და დაეფუძნება თებერვალში პანამასთან გაფორმებულ გარიგებას, რომლის ფარგლებშიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების 100-ზე მეტი მიგრანტი პანამაში გაგზავნეს.

„უოლ სთრით ჯორნალის“ ცნობით, იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც მიგრანტების მიღების თხოვნით დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ მიმართა, არის **ლიბია, რუნდა, ბენინი, მოლდოვა, მონღოლეთი და კოსოვო**.

თეთრ სახლში იმედი აქვთ, რომ ეს ქვეყნები ფინანსური შეთანხმებისა ან პოლიტიკური სარგებლის მიღების საწესკოდ, აშშ-დან მიგრანტების მიღებას დათანხმდებიან.

ამასთანავე, დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია ფიქრობს, რომ ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყანა ასევე დათანხმდება, აშშ-თან გრძელვადიანი შეთანხმების გაფორმებას, რომლის მიხედვითაც ეს სახელმწიფოები აღიარებულენ იქ-

ნებიან უსაფრთხო ქვეყნებად და მიგრანტები თავშესაფრის მოთხოვნას შეძლებენ. როგორც „უოლ სთრით ჯორნალი“ წერს, აშშ-ი ასეთი შეთანხმების გაფორმებასთან ახლოსაა კოსტა რიკასთან და ჰონდურასთან.

ტრამპის პოლიტიკას აშშ-ში საპროტესტო აქციები მოჰყვა

ათასობით მომიტინგე შეიკრიბა შაბათს შეერთებულ შტატებში, მათ შორის ვაშინგტონში, რათა გამოეხატა წინააღმდეგობა პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პოლიტიკის მიმართ.

პროტესტის ორგანიზატორებმა 1200 საპროტესტო აქციის შესახებ გამოაცხადეს 50-ზე მეტ აქციაში, ასევე კანადასა და მექსიკაში.

ვაშინგტონში ისინი 20000-ზე მეტ მონაწილეს ელოდებიან. დემონსტრაციებში მონაწილეობის მისაღებად 150-მდე აქტივისტთა ჯგუფი დარეგისტრირდა სახელწოდებით „ხელები მთავრობის“.

Reuters აღნიშნავს, რომ აქციის მონაწილეები უკრაინის დროშებითა და პალესტინის მარცხენით ნახეს. ერთ-ერთმა აქტივისტმა განაცხადა, რომ ის აქციაზე მივიდა პროტესტის გამოსახატავად ყველაფრის წინააღმდეგ, რასაც თეთრი სახლი აკეთებს, სამიგრაციო პოლიტიკიდან დაწყებული ილონ მასკის ეფექტურობის დეპარტამენტამდე (DOGE), განათლების ინდუსტრიის მენეჯმენტიდან დაწყებული იმპორტზე გაზრდილი ტარიფებით დამთავრებული.

„გველისხმობ, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა არის დარტყმის ქვეშ, ყველა ჩვენი ინსტიტუტი, ყველაფერი, რაც ამერიკას აქცევს იმად, რაც არის“, – თქვა მომიტინგე.

ჩინალი მესნიერის მიერ შექმნილმა პირუსმა მსოფლიო გააოცა!

ჩინეთში პირუს მკურნალობის ინოვაციურ მეთოდს მი-აშენს. კერძოდ, მესნიერებმა შექმნეს ისეთი ვირუსი, რომელიც კიბოს უჯრედებს პოულობს და ღირსის ქსოვილად გარდაქმნის. შედეგად, ორგანიზმი ამ ქსოვილებს როგორც საფრთხეს ისე აღიქვამს და ანადგურებს.


უნდა აღინიშნოს, რომ იმუნიტეტი ჯანმრთელ უჯრედებზე უარყოფითად არ ზემოქმედებს. კვლევებმა აჩვენა, რომ ავადმყოფების 90%-ის შემთხვევაში სიმსივნის ზომა შემცირდა, მათ შორის იმ პაციენტებს შორის, რომლებსაც კიბოს ბოლო სტადია ჰქონდათ, ერთ-ერთი პაციენტი, რომელსაც სამედიცინოს კიბო ჰქონდა, მთლიანად განიკურნა.



შეამნეს მსოფლიოში ბრინჯის მარცვლის ზომის ელექტრო-კარდიოსტიმულატორი

მეცნიერებმა აშშ-ში, რომ შექმნეს მსოფლიოში ყველაზე პატარა გულის ელექტროსტიმულატორი – გულისცემის დროებითი მარეგულირებელი, რომელიც ბრინჯის მარცვალზე პატარაა; მისი შეყვანა და კონტროლი სინათლეთაა შესაძლებელი, საბოლოოდ კი თავისით იშლება და ამოღებას არ საჭიროებს.

მსოფლიოში მილიონობით ადამიანს აქვს მუდმივი ელექტროკარდიოსტიმულატორი, რომელიც გულის ელექტრული პულსებით ასტიმულირებს, რათა უზრუნველყოს ნორმალური გულისცემა.



ახალი მოწყობილობა ამერიკელ მეცნიერებთან ჯგუფმა შექმნა; მათი განცხადებით, მათი მოტივი იყო დახმარებოდნენ ბავშვების იმ ერთ პროცენტს, რომლებიც გულის თანდაყოლილი დეფექტებით იბადებიან და ოპერაციის შემდეგი ერთი კვირის განმავლობაში ესაჭიროებათ დროებითი ელექტროკარდიოსტიმულატორი. ელექტროკარდიოსტიმულატორი ასევე დაეხმარება ბრძანსრულებს ნორმალური გულისცემის აღდგენაში გულის ოპერაციის შემდეგ.

«კანის ღომების» ქართული ბამარჯვებულები

კანის ღომები მსოფლიოს ყველაზე დიდი და პრესტიჟული კრეატიული ფესტივალია, რომელიც უკვე 70 წელზე მეტია ტარდება ქალაქ კანში. საქართველომ კი 2015 წელს მიიღო ნარმოდ-გენლობის უფლება.

შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, მე-8 წელია, რაც კანის ღომების ადგილობრივი ახალგაზრდული ფესტივალი ჩვენს ქვეყანაში ტარდება.

ამ დროის განმავლობაში კონკურსში მონაწილეობა ასობით ნიჭიერმა და შემოქმედებითმა ახალგაზრდამ მიიღო. გასულ წელს კანის ღომებზე, საქართველოდან კანში გამგზავრებული ექვსი გუნდიდან ორმა ჯილდოს მოპოვება შეძლო. წელს, ახალგაზრდებმა ფესტივალზე 6 კატეგორიაში მიიღეს მონაწილეობა, ესენია: პრინტი, მარკეტერი, დიჯიტალი, ფილმი, დიზაინი და პიარი.

ფესტივალზე რეგისტრაცია 19 მარტის ჩათვლით გაგრძელდა. საქართველოში კონკურსი 27-30 მარტს გაიმართა, ადგილობრივი გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება კი 4 აპრილს შედგა. კონკურსში გამარჯვებულები ივნისში,

კანში, საქართველოს სახელით იასპარეზებენ, თავიანთ შემოქმედებით პოტენციალს ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანენ და მსოფლიოს 70-მდე ქვეყნის საუკეთესო მონაწილეს შეეჯიბრებიან.

2025 წელს Young Lions Georgia-ს კონკურსში 336 გუნდი მონაწილეობდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია წინა წლებთან შედარებით. 6 გამარჯვებული გუნდი კი, ივნისის თვეში, კანის კრეატიულ ფესტივალზე გაემგზავრება და საქართველოს სახელით, მსოფლიო პირველობისთვის იბრძოლებს.

პილდვ ერთნაილ ვალონაშვილი გამარჯვებულია და ყველა მოწინააღმდეგე:

პრინცი – გიორგი ჯაფარიძე, ლუკა სააკაშვილი – **ოქრო**; მარიამ ცხადაძე – **ოქრო**; გიორგი აბულაძე, კესო ოზოლაძე – **ვერცხლი**; ნუკი ულენტი, გოგა გორდემიანი – **ბრინჯაო**.

მარკეტინგი – ქეთო შურაია, ანკა ნაცვლიშვილი – **ოქრო**; ანა ქოიავა ლიზი ყაჭრაშვილი – **ვერცხლი**; სალომე დოლიძე, ლიკა სირაძე – **ბრინჯაო**.

პიარი – საკო ტვილდიანი, ნიკოლოზ ნინიძე – **ოქრო**; იანა კოხიძე მარიამ ტლაშაძე – **ვერცხლი**; ემილი ქორიძე, მარიამ სიმონიშვილი – **ბრინჯაო**.

ფილმი – თამარ ხუციშვილი, ნელი ბოზოხიძე – **ოქრო**; თეკლა კოპლატაძე, გოჩა ვანაძე – **ვერცხლი**.



ლო; ლევან სირბილაძე გოგა ჯამაგიძე – **ბრინჯაო**.

ფილმი – თეკლა დარჩიშვილი, დავით ცხადაძე – **ოქრო**; გიორგი აბულაძე, კესო ოზოლაძე – **ვერცხლი**; ნუკი ულენტი, გოგა გორდემიანი – **ბრინჯაო**.

მარკეტინგი – ქეთო შურაია, ანკა ნაცვლიშვილი – **ოქრო**; ანა ქოიავა ლიზი ყაჭრაშვილი – **ვერცხლი**; სალომე დოლიძე, ლიკა სირაძე – **ბრინჯაო**.

პიარი – საკო ტვილდიანი, ნიკოლოზ ნინიძე – **ოქრო**; იანა კოხიძე მარიამ ტლაშაძე – **ვერცხლი**; ემილი ქორიძე, მარიამ სიმონიშვილი – **ბრინჯაო**.


დინამო არენაზე

Justin Timberlake-ს კონცერტი ბაიმართება

უკუთვალა დაიწყო! მსოფლიო სუპერვარსკვლავი **Justin Timberlake, Starring Georgia-ს ფარგლებში, საქართველოს ყველაზე პოპულარული შემსრულებელი კონცერტს 23 ივლისს „დინამო არენაზე“ გამართავს.**

Justin Timberlake მრავალმხრივი შემსრულებელი, მუსიკოსი, პროდიუსერი, კომპოზიტორი და მსახიობია. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გაყიდულია მისი 54 მილიონზე მეტი ალბომი და 63 მილიონი სინგლი.

Justin Timberlake-ს პოპ, დენს და R&B ჟანრებში GRAMMY-ს 10 ჯილდო აქვს მოპოვებული, მათ შორის, წარმატებული სოლო ალბომებისთვის — „Man of the Woods“, „The 20/20 Experience“, „FutureSex/LoveSounds“ და მისი სადებიუტო სოლო ალბომისთვის — „Justified“. გარდა ამისა, ჯეი-მისთან კოლაბორაციით, არტისტმა მსოფლიოში 23 მილიარდზე მეტი აუდიო და ვიდეო სტრიმი მოიპოვა; ასევე, მიიღო Emmy-ის 4 ჯილდო საღამოს მუსიკალურ-იუმორისტულ შოუ „Saturday Night Live-ში“ მისი დასამახსოვრებელი გამოსვლებისთვის.



23 ივლისს, Starring Georgia-ს ფარგლებში, „დინამო არენაზე“ Justin Timberlake-ს კონცერტი გაიმართება

Justin Timberlake-ს გახმოვანებული აქვს „DreamWorks-ის“ ანიმაციური მიუზიკლი „TROLLS-ს“. მისი პიტად ქცეული სიმღერა „Can't Stop the Feeling!“ 2017 წელს გამოსული „Trolls Holiday-დან“, „ოსკარზე“ წლის „საუკეთესო ორიგინალური სიმღერის“ ნომინაციაში იყო წარდგენილი.

არტისტმა ახლახან გამოუშვა მეექვსე სტუდიური ალბომი „Everything I Thought It Was“, რომელიც 18 ახალ სიმღერას შეიცავს, მათ შორის, პიტ-სინგლებს: „Selfish“ და „No Angels“.

ბილეთების გაყიდვა დაიწყო 8 აპრილს, 12:00 საათზე TKT.ge/JustinTimberlake-ზე. ტრადიციისამებრ, „Starring Georgia-ს“ მუსიკალური ოდისეის ლოიალურ თანამგზავრებს, Starring Card-ის მფლობელებს ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლოთ Pre Sale-ით და ლიმიტირებული რაოდენობის ბილეთები 1 დღით ადრე შეიძინონ. წინასწარი გაყიდვა 7 აპრილს, 12:00 საათზე TKT.ge-ზე დაიწყება.

IV-XIX საუკუნეების (საქართველოს) სამკაული, იარაღი, ჭურჭელი

07.04.25 17:00

GEORGIAN NATIONAL MUSEUM INVITES YOU AT THE OPENING OF THE EXHIBITION

THE ART OF SILVER MASTERSHIP IN 4th-19th CENTURY GEORGIA

Jewelry, weapons, tableware

პერსონალიზაციის დიდი გამოფენა პროფესიულ მუზეუმში!

7 აპრილს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, მუზეუმის კოლექციებში დაცული ვერცხლმქანდაკელობის ნიმუშები გამოიფინება, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IV-XIX საუკუნეებით განისაზღვრება.

მუზეუმის ინფორმაციით, პირველ დარბაზში გამოფინდება საქართველოს სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი IV-XVI სს-

ის მატერიალური კულტურის ნიმუშები, კერძოდ, სამკაული: საკინძეები, ბეჭდები, საყურეები, სასაფეთქლეები, სამაჯურები, გულსაკიდი ჯვრები და ტანსაცმლის აქსესუარები.

„ექსპონირებული იქნება, ასევე, ფრესკის პირები ისტორიულ პირთა პორტრეტული გამოსახულებებით. მათი ნაწილი დღეს უკვე ძლიერ დაზიანებული კედლის მხატვრობის ზუსტი ასლებია. სამკაულთა პირველი ნიმუშები გვხვდება მეფეთა – ვარძიასი თა-

მარ მეფისა (1184-1213 წწ.) და გეორგი IV ლაშას (1213-1223 წწ.) პორტრეტებზე. სამკაულის – საყურის, ბეჭდისა თუ გულსამკაულის ნიმუშები, ძირითადად, XVI-XVII საუკუნეების დიდგვაროვანთა პორტრეტებზეა მოცემული. მეორე დარბაზში XII-XIX საუკუნეების ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული ექსპონატები იქნება წარმოდგენილი, რომელთა უმეტესობა პირველად იფინება. საქართველოს კუთხეების მიხედვით, ექსპონირებულია სვანეთის, ხევსურეთის, თუშეთის, მთიულეთის, ფშავის, რაჭის, საინგილო, აჭარის, ახალციხისა და თბილისის ვერცხლმქანდაკელობის ნიმუშები, ასევე ეკლესიებისთვის შენარჩუნებული ვერცხლის თასები, რომელთა წარწერებიც მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს გვაუწყებს. აქვეა საღვინე ვერცხლის ჭურჭელი, სამეჭდავეები და ნუმიზმატიკური მასალა.

ამავე დარბაზში წარმოდგენილი იქნება მეფე სოლომონ I-ისა (1735-1784 წწ.) და მეფე ერეკლე II-ის (1720-1798 წწ.) ფერწერული პორტრეტები, მემორიალური შევრცხლილი იარაღები და წმინდა ნაწილებიანი სანაწილე, რომელთა გარკვეული ნაწილი დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.



საპრემიერო სექციაში თეატრის სოლისტები, მონაწილეები მომღერლები, გუნდი და ორკესტრი მონაწილეობენ. დამდგმელი რეჟისორი ვიქტორ გარსია სიერაა. პრემიერა 5 აპრილს გაიმართა და საქართველოს სახალხო არტისტის ცისანა ტატიშვილის სხოვნას მიეძღვნება.

თანამედროვე ბანქოს ისტორია

რას ნიშნავს სიმბოლოები და ფიგურები

ბანქო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გასართობია მთელ მსოფლიოში, თუმცა ცოტამ თუ იცის, რომ მისი ფესვები შორი წარსულიდან მოდის და თანამედროვე სახე დროთა განმავლობაში სხვადასხვა კულტურის გავლენით მიიღო.

ბანქოს ისტორია მე-9 საუკუნის ჩინეთიდან იწყება. ითვლება, რომ სხვადასხვა თამაშისას ჩინელები იყენებდნენ ბარათებს, რომელთა ასოებიც მონეტებსა და ფინანსურ სიმბოლოებს განასახიერებდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ბანქოს თანამედროვე კონცეფცია. მონღოლთა იმპერიის გავლენით, კარტის თამაშები შუა აზიასა და ისლამურ სამყაროში გავრცელდა. მე-14 საუკუნეში ეს გართობა ევროპაშიც გამოჩნდა, სადაც, ადგილობრივი კულტურების მიხედვით, ბარათის დიზაინები და სიმბოლოები შეიცვალა.

კარტის ოთხი სიმბოლო – ფრანგული სისტემა

ევროპაში კარტი სხვადასხვა ფორმით არსებობდა, მაგრამ, საბოლოოდ, ფრანგული სისტემა გახდა ყველაზე გავრცელებული. სწორედ ფრანგებმა შექმნეს ოთხი ძირითადი ნიშანი:

გული – სიმბოლო, რომელიც სასიყვარულო და სულიერ საკითხებთან ასოცირდება;

აგური – აღნიშნავს ფინანსურ სიმდიდრეს და ვაჭრობას;


ჯვარი – სიმბოლო, რომელიც გლეხობასა და სოფლის მეურნეობას უკავშირდება;

ყვავი – სამხედრო ფენა და არისტოკრატია.


სწორედ ეს სიმბოლოები ჩამოყალიბდა მე-15, მე-16 საუკუნეებში და დღემდე უცვლელად გამოიყენება.

ფიგურები და მათი მნიშვნელობა

კარტის მეფე, დედოფალი და ვალეტი ევროპის სხვადასხვა მონარქებისა და ისტორიული პირების მიხედვით შეიქმნა. მაგალითად, ზოგიერთი ვერსიით, მეფის კარტები ცნობილ მმართველებს – ლავიოს (ყვავი), კარლოს დიდს (გული), ალექსანდრე მაკედონელის (ჯვარი) და იულიუს კეისრის (აგური) განასახიერებენ.



სათამაშო კარტები ადრე ხელით იმეჭდებოდა, რაც მათ შედარებით ძვირადღირებულ პროდუქტად აქცევდა. თუმცა, მე-19 საუკუნეში მასობრივი ბეჭდვის ტექნოლოგიის განვითარებამ კარტი ხელმისაწვდომი გახადა. ამერიკული კომპანიები, როგორიცაა „Bicycle“ და „Bee“ სტანდარტიზაციის პროცესში ჩაერთნენ და დღეს ჩვეთუის ნაცნობი კარტის დიზაინი ჩამოაყალიბეს.



ლევანდარული თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ კაპიტანს, სახელმწიფო კალენდრულ (საშა) 80-ე წელი უსრულდება. ის თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული გუნდის კაპიტანებს შორის ერთ-ერთი კოლორიტული და გამორჩეული ფიგურაა. მას ღმერთმა არგუნა შედნიერება 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში, ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად და ერთდროულად, ალექსანდრე თაბის მფლობელთა თაბის. თბილისის „დინამო“ თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა. მისი ტრიუმფის ერთ-ერთი შემოქმედი იყო გუნდის კაპიტანი ალექსანდრე (საშა) ჩივაძე. ის ამ გუნდის ხერხემალი იყო. ვულოცავთ ვეტერანს საიუბილეო თარიღს, და ჯანმრთელობას და მშვენიერებას ვუსურვებთ. ახლა კი, მოდით, თვალი გადავავლოთ და გავიხსენოთ წარსული.

ლევანდარული კაპიტანი

„დინამოში“ ის პირველად გამოჩნდა 1974 წელს და ერთი მარტივი მომენტით. ერთი მარტივი მომენტით 1975 წელსაც. 1976 წლიდან კი ის გუნდის მთავარი ფეხბურთელი გახდა.

თბილისის სეზონი ითამაშა მან მომლოდინო კლუბის შემადგენლობაში და წარუშლელი კვალი დატოვა. ორჯერ გახდა საბჭოთა კავშირის თაბის მფლობელი (1976 და 1979 წელს); 1978 წელს გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ხოლო 1981 წელს მოიგო თაბის მფლობელთა თაბის; 1979 წელს ითამაშა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ფინალში და გახდა ვერცხლის პრიზიორი, ხოლო 1980 წელს ითამაშა საბჭოთა კავშირის თაბის ფინალში. შთამბეჭდავი მისი სტატისტიკური მონაცემები: მონაწილეობა მიიღო საკავშირო ჩემპიონატის 324 მატჩში და გაიტანა 44 გოლი; თაბის გათამაშების 36 შეხვედრაში 5 ბურთი გაიტანა; მონაწილეობდა 65 საერთაშორისო შეხვედრაში და 12 გოლი გაიტანა; 1980 წელს დასახელებული იყო საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად. ეს მისი საფეხბურთო კარიერის პიკი იყო.

1980-1986 წლებში ალექსანდრე ჩივაძე გამოდიოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ლევანდარული ბურთაზ ხურცილავას შემდეგ, იგი იყო მეორე ქართველი, რომელიც გახდა საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი. ნაკრების მაისურით ჩაატარა 52 მატჩი და გაიტანა 3 ბურთი. მონაწილეობდა ორ მსოფლიო ჩემპიონატში – 1982 და 1986 წლებში. 1980 წელს გახდა მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი. ის იყო ქართული და არა მარტო ქართული, არამედ საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველი. ის ევროპის ნებისმიერი გრანდის შემადგენლობას დაამზადებდა. მომთხროველები მის თამაშს ასე ახასიათებდნენ: „ტექნიკური, მშვიდი, ალუმინოვანი, საკუთარ ძალებში დარწმუნებული. გამორჩეულია პოზიციური თამაშის საოცარი ალღოთი. დროულად ერთვებოდა თამაშში“. ყველაფერი ეს კი იწყებოდა 35-ე საფეხბურთო სკოლიდან. ის ამ სკოლის აღმზრდელია, მერე იყო „დინამო“, შემდეგ კი – საბჭოთა კავშირის ნაკრები.

თავიდან ის არ ყოფილა ცენტრალური მცველი. ის უფრო საყრდენი ნახევარმცველი და ექვსი ნომერი გახლდათ. ამ ამპლუაში ითამაშა მან 1976 წლის 3 სექტემბერს საბჭოთა კავშირის თაბის

ფინალში ერევნის „არარატთან“, როდესაც „დინამომ“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის თაბის. ფინალში – 3:0 დაამარცხა ერევნის „არარატი“.

1978 წლის სეზონის მეორე ნახევარში ალექსანდრე ჩივაძე ახალ ამპლუაში მოგვევლინა. ლევანდარულმა ნოდარ ახალკაცმა მას აღვილი დაცვის ცენტრში მიუჩინა, ხოლო საყრდენი ნახევარმცველის ადგილი დაიკავა ქუთაისის „ტორპედოდან“ გადმოყვანილმა ლევანდარულმა თენგიზ სულაქველიძემ. მწვრთნელს ალღო არ უშტყუნა – ორივე ნაბიჯმა სასიკეთო გაამართლა. მან თითქმის 10 წელი ითამაშა თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების ცენტრალურ მცველად.

არასოდეს უწერია დივანება ჩივაძის ორ გოლს, გატანილს ლევანდარული „ლივერპულის“ კარში, რომელიც მაშინ მიეღს ევროპაში ქუხდა და თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა. ეს მოხდა ჩემპიონთა თასზე. ნილისყრამ აშკარად არ გაუმართლა თბილისელებს. ჯერ მრისხანე „ლივერპული“ არგუნა, ხოლო შემდეგ „ჰამბურგი“, რომელიც ძალებს იკრებდა და თავისი ძლიერების მწვერვალს, პიკს, უახლოვდებოდა. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ თბილისელებმა თავი გამოიჩინეს, ორივე ევროპულ გუნდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს და ტურნირი თავანულებმა დატოვეს. ეს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელი იყო. ჯერ იყო და 1979 წლის 19 სექტემბერს ჩივაძემ „ენფილდზე“ ლივერპულის კარში გოლი შეაგდო და მინიმუმამდე შეამცირა ანგარიში, 2:1. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. განმეორებითი მატჩის წინ რაღაც იმედი მაინც რჩებოდა. რა თქმა უნდა, ფავორიტი „ლივერპული“ იყო.

1979 წლის 3 ოქტომბერს თბილისში, წმინდა ინგლისურ ამინდში, კოკისპირულ წვიმაში, „დინამომ“ მეტეზზე დასცა მრისხანე მეტოქე და ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. 3:0 გაიმარჯვეს თბილისელებმა. ანგარიში გახსნა ლევანდარულმა ვლადიმერ გუცაევმა. მეორე გოლი, გიორგი ჭილაიას ბრწინვალე სოლო რეიდის შედეგად, უემრო ბომბარდირმა, ლევანდარულმა რამაზ შენგელაძემ გაიტანა, ხოლო ამ მატჩს, შესტად შესრულებული თერთმეტმეტრიანი დარტყმით, წერტილი სწორედ, ალექსანდრე ჩივაძემ დაუსვა.

შეიძლება ითქვას, რომ მისი ინგლისური ეპოპეა ამით კი არ მთავრდება, არამედ იწყება. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს 1981 წლის 4 მარტს თაბის მფლობელთა თაბის გათამაშების მეოთხედფინალში მეორე სახელგანთქმულ ინგლისურ გუნდთან „ვესტ ჰემ იუნაიტედ-

თან“ გასვლითი მატჩი ლონდონში, რომელიც თბილისელთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა – 4:1. ინგლისელთა რბევა სწორედ ჩივაძის მიერ გატანილი გოლის შემდეგ დაიწყო. ამის შემდეგ ჯერ გუცაევმა, ხოლო შემდეგ ორჯერ რამაზ შენგელაძემ აიღეს მეტოქის კარი. ჩვენი აზრით, ეს გამარჯვება შეიძლება იყო თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გასვლითი მატჩი.

ალექსანდრე ჩივაძეზე საუბარი სრული არ იქნება, თუ არ გავიხსენებთ ერთ ფაქტს, რომელიც კარგად ახასიათებს მის ფსიქოლოგიურ მდგარდობას, შეუპოვარ ხასიათს, მებრძოლ სულსადაც თებას. ეს მოხდა ესპანეთში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, შოტლანდიელების წინააღმდეგ მატჩის დროს, ჯგუფურ ეტაპზე. შეხვედრა იყო პრინციპული. ჯგუფის ფავორიტი იყო ბრაზილია. ამ მატჩის შედეგზე დიდად იყო დამოკიდებული, თუ რომელი მეორე გუნდი გავიდოდა შემდეგ ეტაპზე. თამაში შოტლანდიელთათვის კარგად დაიწყო. ჩივაძემ უხერხულად მიიღო ბურთი, რითაც კარგად ისარგმელეს შოტლანდიელებმა და ანგარიში გახსნეს. ეს ნებისმიერ ადამიანს ნახადენდა, გულს გაუტეხდა, მაგრამ არა მას. მან ხელები კი არ ჩამოუშვა, არამედ, როგორც ჯგუფში სპორტსმენს სჩვევია, კიდევ უფრო მეტი საბრძოლო ჟინით აწნო და ბრძოლის ქარცეცხლში გადაეშვა. ის გუნდის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. შედეგადაც არ დააყოვნა. ქართველთა ძალისხმევით საბჭოთა კავშირის ნაკრებმა შეძლო, ესოდენ საჭირო ქულა გადაერჩინა და შემდგომ ეტაპზე გასულიყო. ანგარიში ქართველებმა გაათანაბრეს – 2:2. გოლები გაიტანეს რამაზ შენგელაძემ და ალექსანდრე ჩივაძემ.

1983-1985 წლებში ალექსანდრე ჩივაძე ახალ ამპლუაში მოგვევლინა და გუნდის ერთ-ერთი მთავარი გოლელდორის როლი შეითავსა. მან ამ სამი სეზონის მანძილზე 22 ბურთი გაიტანა: 1983 წელს – 7 გოლი, მომდევნო წელს – 8 ბურთი, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ – ისევ 7 გოლი. ის მხოლოდ გუნდის მთავარ ბომბარდირს, რამაზ შენგელაძეს ჩამორჩებოდა და ასე განსაჯეთ, 1985 წლის სეზონში გუნდის საუკეთესო სწაპერი გახდა. 1987 წლის სეზონის შემდეგ, 32 ასაკში, მან დატოვა წვანე მიწები.

ალექსანდრე ჩივაძე ჩემი საყვარელი ფეხბურთელი იყო და, ალბათ, არამარტო ჩემი. მასზე საუბარს ამ სანდოვნადღოთ რთავი დაჰასრულავდით და ვალდებულ ვიქნებოდა ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას ვუსურვებდით. გიადლოთ ყველაფრისთვის!

მერაბ კალანდაძე

გაქათილავი იანონელავისთვის

1940 წელს გამოცემულ „სამგოს“ სახელმძღვანელო ავტორი ვ. ვოლკოვი წინასინდყვაობაში აღნიშნავს, რომ „ქართული ჯიდაობა საუკეთესოა თაბისი ტაქნიკითა და უზნალოვანით“, თან იძვრ დასაძნს, რომ ქართულ ჯიდაობაში „ფხის ფანდების დამუშავება გვრად უპოთესია, ვიდრე იაპონურ ძიუდოში“.

ავტორი ხაზს უსვამს, ასევე, თავისუფალ ჭიდაობასთან შედარებით ქართული ილეთების უპირატესობასაც: „რაც უნდა განვითარებული იყოს თავისუფალი ჭიდაობა, სასპორტო თვალსაზრისით, გდების ტექნიკით ის მაინც ჩამორჩება ისეთ შესანიშნავ ერთუნულ სახეობას, როგორიც ჩოხიანი ქართული ჭიდაობაა“ [11].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იაპონური ძიუდო მთელ მსოფლიოში სპორტის პოპულარულ სახეობად იქცა. ქართველებმა ფალავნებმა მას იოლად აუღეს ალო. ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა, იაპონელმა ისაო ინოუკამა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: „როცა ყველა არაიაპონელისთვის ძიუდო უცხო ხილი იყო, მიკვირდა, რომ ქართველებთან ჭიდაობა გაცილებით გვეძნელობდა. მერე, როცა მათ დავეახლოვდი და დავეშვებოდი კიდევ, ბევრი რამ ნათელი გახდა. გავიგე, რომ ქართველებს ჭიდაობის თავი-

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47-49

„რბილი გზა“ საქართველოში

ანთი ეროვნული სახეობა ჰქონიათ, რომლის მრავალი ილეთი წარმატებით გამოიყენება ძიუდოში... პირადად მე ქართული ჭიდაობისგან მრავალი ფანდი ვისესხე“.

საერთაშორისო სარბიელზე ქართველ ძიუდოსტთა წარმატებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. საგანგებოდ იაპონელები დაინტერესდნენ, ჩვენი შესანიშნავი სპეციალისტი ბიძინა მამიაშვილი სპეციალურად მიიწვიეს იაპონიაში, სადაც ის რამდენიმე თვის განმავლობაში ქართული ჭიდაობის მასტერ-კლასებს ატარებდა. მასპინძლები ყველაფერს ფიქრზე იღებდნენ, მერე ქართული ჭიდაობის სეციკაც კი გახსნეს.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ფუმიო სასახარას, რომელიც საქართველოში სტუმრობისას სოფელ მეტერისხეში მიუწვევიათ, თავად უნახავს ნახერხმოყრილ სარბიელზე პატარა ბიჭების ელვისებური ფანდები და გაოცებულს უთქვამს: „ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ არიან ქართველი ფალავნები ასე ძლიერები – ისინი ჭიდაობასა და ანშანის შესწავლას, ალბათ, ერთდროულად იწყებენ“.

სასახარას ქართული ჭიდაობის გაცივითლებმა მაინც ვერ უშველა – მიუნხენის ოლიმპიადამე ქართული ფანდის მსხვერპლი გახდა. ეს მოხდა 1972 წლის პირველ სექტემბერს: ახალგაზრდა ფალავანმა შოთა ჩოჩიშვილმა, როგორც ჭიდაობის პროფესორი ვახტანგ ზალავაძე ბრძანებდა, ქართული მეფური ილე-



მ.-ქ. ტეჭიკულის სტუდენტები: მაქავარიანი და მოლაშვილი „ძიუ-დო-ში“ ვარჯიშის დროს.

თით – ზემელა კისრულით ისე დაანარცხა ტატამზე ამოშავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი, რომ ნამოდგომა გაუქირდა, არადა, ხუთიოდე წუთით ადრე, სარბიელზე გასვლის წინ, ფოტოაურნალისტები სახეგამადრულ იაპონელს გარს ეხვეოდნენ, რათა დროულად მიეწოდებინათ თავიანთი გამოცემებისთვის ქვემძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონის სურათი-

მი... ჩოჩიშვილმა დაამტკიცა, რომ ქართველებს ტატამზე წარმატებისთვის ყველაფერი ჰქონდათ – ძალა, ტექნიკა, სისხარტე და გამბედაობა. ეს იყო ნამი, როცა მსოფლიოში გაიგო, რომ ქართველები ძიუდოში ანგარიშგასანევი ძალა გახდნენ! 1974 წელს გაზეთი „ლელო“ წერდა: „შოთა ჩოჩიშვილი, ისევე, როგორც ბევრი სხვა მისი თანატოლი, ძიუდოში ქართული ჭიდაობიდან მოვიდა... ქართულმა ჭიდაობამ გაამდიდრა და გააკეთილშობილა ჩოჩიშვილის სპორტული აზროვნება და საშუალება მისცა მას, ძიუდო ახლებურად დაენახა“ [12].

თავად მიუნხენის თამაშების გმირს კი არაერთხელ უთქვამს: „მოჭიდავე, რომელიც კარგად ფლობს ქართული ჭიდაობის ფანდებს, უკვე 90 პროცენტით ძიუდოსტია, კარგი ძიუდოსტია“.

თბილისში ძიუდოსტთა ერთ-ერთი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტთან საუბრისას გამოცდილი რუსი სპეციალისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მწვრთნელი ვ. ანდრეევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა ნაკრების ხერხემალს ქართველი ფალავნები წარმოადგენენ, რაც შემთხვევითი არ არის. თქვენი ძიუდოსტების წარმატებათა პირველწყარო ქართული ჭიდაობაა. საკმარისი იყო, მათ ქართული ჩოხა გაეხადათ და იაპონური კიმონო ჩაეცვათ, რომ გამარჯვება გამარჯვებას მოჰყვა“.

1973 წელს ჩვენმა სახელოვანმა ფალავანმა ლევან თელიაშვილმა თეირანში მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა თავისუფალ ჭიდაობაში. მაშინ ირანის დედაქალაქში სამშისტებივ ჩავიდნენ მსოფლიოს პირველობაზე. საბჭოთა ნაკრების წევრი გენადი რუხლიადევი უშიშროებას თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვას – ვალუტის გაცვლა-გამოცვლაში ყოფილა შემჩნეული.

საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელ არკადი ლენესსა და ჭიდაობის პროფესორ ვახტანგ ზალავაძეს ლევან თელიაშვილისთვის უთხოვიათ, იქნებ, მდგომარეობიდან გამოგვიყვანოთ. ერთხელ ჩემთან საუბრისას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა შოთა ზუკაკიშვილმა ეს ეპიზოდი გაიხსენა: „ლევანმა კახურად გვითხრა, „მატა, ვიჭიდავებო“. დილის ხუთ საათამდე გენადი გიორგაძესთან (თეირანში ისიც მსოფლიოს ჩემპიონი გახდა) ერთად ამუშავებდა ილეთებს. მეორე დღეს გავიდა ლეიზე და სულ ცეკვა-ცეკვით მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა“.

მატონ ლევანს რომ ვკითხე, ეს როგორღა მოახერხეთ-მეთქი, გავცინა – მტკივნეულ ილეთამდე რას მოგუშვებდი, სულ ქართული ფანდებით მივყარ-მოვყარეო, მითხრა. მოგვიანებით ორგზის ოლიმპიური თამაშების, ხუთგზის მსოფლიოს და სამგზის ევროპის ჩემპიონი იტყვის: „საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებულ წარმატებებს რაინდულ ქართულ ჭიდაობას ვუმაღლო“.

ვაჟა დანელია, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ლამაზპერაში ჟურნალისტი.



ტიტულის, გმირობას

დამიბნისმართ 2025 წლის 5 აპრილი: ამ დღეს ხშირად პარასკე-ლია პირველი ქართველი ფეხბურთელი გახდა, ვინც ტოპ-5 სახელმწიფოდან მეორე ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო და იტალიურ სკუდეტოს საფრანგეთის ლიგა – 1-ის ოქროს მედალი შემატა, საამისოდ კი 10 მატჩში გატანილი 2 ბურთი და 3 ასისტი იკმატა.

აღსანიშნავია აგრეთვე პარი სენ-ჟერმენის ზედიზედ მე-4, სულ კი მე-13 ტრიუმფში ჩვენი უნივერსალური ვარსკვლავები ჰყვანს შეტანილი სოლიდური წვლილი, რაც ანუერთან სატიტულო ჩანოღმასთან ერთად, რომელიც ოქროს გოლად ღუემ აქცია (1:0), გუნდის ესპანელი თავკაცის ლუის ენრიკეს საფეხბურთო ფილოსოფიის ტაქტიკური კრედიტს ერთგულებაში გამოიხატება: თერთმეტი მცველი თერთმეტ თავდამსხმელად უნდა იქცესო და პირიქით. ამჯერად კვარამ საშინაო სეზონის კულმინაციურ მეხედრადში შეუცვლელად ითამაშა და საკუთარი კარის მისადგომებთან 11 ორთაბრძოლა მოიგო(!).


და კიდევ: ჯერაც წაუგებელ პსუ-ს 6 თამაშია აცილებს არსენალის, იუვენტუსისა და ლევერკუზენის მოღწევის გამეორებამდე, რომლებმაც ელიტური დივიზიონები დაუმარცხებლად მოიგეს.

დავძენო, რომ მას შემდეგ, რაც აპენინებზე ინტერმა პარმაში ძვირფა-

სი ქულები დაკარგა (2:2 2:0-ის შემდეგ), ნაპოლისთან წოდების მოსახვეჭად გაჩაღებულ მძაფრ მეთოქობაში ფინიშამდე 7 ტურით ადრე მილანელთა უპირატესობა დაკარგულ ქულებში 1-მდე შემცირდა. ასე რომ, თუ დღეს კამპანიელები ბოლონიაში უმძიმეს ბრძოლაში გაიმარჯვებენ, ხვიჩას მეორე სკუდეტოს მოხვეჭის შანსები კიდევ უფრო გაეზრდება. სხვათა შორის, სერია – ა-ს ტოლო ქულებით დასრულების შემთხვევაში, დემბულეის მიხედვით, უძლიერესს დამატებითი მატჩი გამოავლენს.

არანაკლუმ მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ესპანეთში, სადაც ვალენსიამ 2008 წლის შემდეგ პირველად დაამარცხა მადრიდის რეალი სანტიაგო მერნაბეუზე – 2:1 და აღნიშნული მოვლენის ქართულმა გმირმა – გიორგი მამარ-დაშვილმა სამეფო კლუბის რბევა მ(!) სეივით დაასრულა, თანაც მასპინძელთა პრეტენზიულ ლიდერს ვინისიუსს პენალტი აუღო (ესპანურ კარიერაში მეხუთედ). შეგახსენებთ, რომ მათ შორის ურთიერთობა მარშან მესტალიაზე აგორებული სკანდალის შედეგად გამწვავდა.

როგორც გაირკვა, პენალტის დარტყმამდე მხარეები გატანა-ვერგატანაზე დანიშლავებულან, თუმცა, როგორც მამარდა აცხადებს, მის მიერ მოგებული 50 ევრო ჯერჯერობით არსად ჩანს.



სულთანა

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდი „ოქროს ფრთა“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ფონდის დამაარსებელსა და პრეზიდენტს, ქალბატონ ეთერ ჯიშკარიანს გარდაეცვალა შვილი, ცნობილი მხატვარი, არაერთი საერთაშორისო და რესპუბლიკური გამოფენის ავტორი და მონაწილე, სიკეთითა და პროფესიონალიზმით გამორჩეული პიროვნება

მარინა ოთარის ასული ჯიშკარიანი

თანაუგრძნობთ ქალბატონ ეთერს, განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს.



ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის „ოქროს ფრთის“ ლაურეატების სახელით – თამარ ცაგარეიშვილი, მარიკა ღარჩია, ირმა ინაშვილი, გიორგი მამაცაშვილი, ლაშა ნადარეიშვილი, გონდო მძინარაშვილი, ნუგზარ რუხაძე, აკაკი სიხარულიძე, იოსებ ჭუმბურიძე, გიგლა გოგჩია, ნიკოლოზ წულუკიძე, სპარტაკ ქოჯულია.

სანთელი

ნოდარ ჭითანავა, გონდო ჯიქია, დიმა კოტეიშვილი, ნუკრი გოგიტიძე, გურამ გუნავა, ბაკურ გულუა, ჰამლეტ ლავილაშვი, დავით ქანთარია, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი პიროვნება, ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, აჭარის მშვენება და სიამაყე

სულიკო ინაიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და სამეგობროს.



თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ლაშა გოგინაშვილი დაინიშნა


თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ლაშა გოგინაშვილი დაინიშნა.

ლაშა გოგინაშვილი თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის პოსტზე სულხან თამაზაშვილი ჩანაცვლას.

«წიგნის ბუდე» ტაძრის ეზოში

„ამა წლის 4 აპრილს ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა თბილისში, ზღვისუბანში მდებარე წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის ეზოში სკვერის ბიბლიოთეკა გახსნეს“, – ინფორმაციას საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ავრცელებს. მათი ცნობით, წიგნის ბუდეში საკვირაო სკოლის მოსწავლეებისთვის უამრავი ახალი წიგნი განთავსდა.

„მცირე პაუზის შემდეგ კვლავ გაგხსენით სკვერის ბიბლიოთეკა: ამჯერად ზღვისუბანში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის ეზოში, სადაც შესანიშნავი საგანმანათლებლო სივრცეა მოწყობილი. საკვირაო სკოლის მოსწავლეებს უამრავი წიგნი მიუტანეთ და სამომავლოდაც დავიმართო მხარდაჭერას“, – განაცხადა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ მირიან ხოსიტაშვილმა.




ლონისძივას სამრევლოს წინამძღვარი, დეკანოზი გიორგი შაშიაშვილი და 154-ე და მე-14 საჯარო სკოლების ღირებულებითი განათლების კლუბის წევრი მოსწავლეები დაესწრნენ.

კიდეზ ოთხი სპორტული მოედანი განაგებდა



პანსალი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით გლდანის რაიონის გამგეობა სპორტული სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციას აგრძელებს. ამ ეტაპზე სამუშაოები ოთხ მისამართზე დასრულდა, რისთვისაც, ჯამში, 199 000 ლარი დაიხარჯა.

სრული რეაბილიტაცია, მათ შორის, ჩაუტარდა I მიკრორაიონის N3-3ა კორპუსებთან და 26 მაისის ქუჩაზე, N203 ბაგა-მალის მიმდებარედ არსებულ სპორტულ მოედნებს. დასრულებულ სამუშაოებს გლდანის რაიონის გამგეობელი ზესკ კალაძე გაეცნო.



ხარება

7 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ხარებას ზეიმობს. ღმერთმა იესო ქრისტეს შობამდე ალუთქა (დიდი ხნით ადრე) კაცობრიობას, რომ მსხნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც ქალწული შობდა და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმნებოდა როგორც „ჩვენთან არს ღმერთი“.

...და, აი, მთავრდება უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დანიშნული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე. წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გისაროდნ, მიმადლებულო, უფალი შენთანა. კურთხელ ხარ შენ დედათა შორის“.

მარიამი შეაძრწუნა ამ სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარმე არს მოკითხვა ესე?“ ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ პოვე მადლი წინაშე ღმრთისა და აჰა, ესერა შენ მუცლად იღო და ჰყავდეს და უწოდო სახელი მისი იესო“.

ღმერთმა მიჰმადლოს საქართველოს ხარების დღესასწაულის მადლი!

გიული ლიპარტია

**საუკუნეები
ერთხელ
დედაიდა
0,015 გრადუსით
ხურდება**



ასტროფიზიკოსების მიერ ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ას წელიწადში ერთხელ დედამიწა მზელი მატერიის შემოქმედების შედეგად 0,015 გრადუსით ხურდება. მეცნიერების გამოთვლებით, ათას წელიწადში ეს მაჩვენებელი უკვე 0,15 გრადუსს მიაღწევს, მილიონ წელში კი 1,5 გრადუსს და მეტს. ასტროფიზიკოსების კვლევა სამეცნიერო სერვერ arXiv-ზე გამოქვეყნებული.

რაც შეეხება დედამიწის ბრუნვის სიჩქარეს, მეცნიერების შეფასებით, ას წელიწადში ერთხელ მავი მატერია დღის და ღამის ხანგრძლივობას 12 წამით შეამცირებს. ამ მონაცემების 4,5 მილიარდ წელიწადზე გადათვლის შემთხვევაში, დღე-ღამე 540 მილიონი წამით ანუ 17 წლით შემცირდება. მეცნიერების გამოთვლებით, სამყაროს 85% მზელი მატერიისგან შედგება და ჯერჯერობით ეს არის ყველაფერი, რაც მასზე ცნობილია.

კმირფასო შარაშენიძეებო და შარაპენიძეებო - გავპრტიანდეთ!

„ჰოი, დედუფალო, დედაო კასთმოყვარისა ღმრთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ“

მოგახსენებთ, საქართველოში ოლითგანვე არსებობდა ტრადიცია ოჯახებისა და გვარების მიერ ეკლესიისთვის სხვადასხვა ფასეულობების შეწირვისა.

ამ დიდებული ტრადიციების გათვალისწინებით, გვსურდა, რომ ჩვენ-შარაშენიძეების და შარაპენიძეების გვარების წარმომადგენლებს, მახათას მთაზე ახლადშენებული ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის კეთილმოწყობაში მიგველო მონაწილეობა.

თავდაპირველად, ეკლესიის წინამძღვრის, მამა შიოს კურთხევით შესაძლებლად ჩავთვალეთ, რომ შარაშენიძეების და შარაპენიძეების სახელით, ტაძრის ტერიტორიაზე, გაგვეშენებინა მრავალწლოვანი ხეხილის ბაღი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ნიადაგის არასათანადო შემადგენლობის გამო, ამის შემდეგ მოვინახეთ გზა, რომ ტაძრისთვის შეგვეწირა ათონის მთაზე არსებული სალტის ღვთისმშობლის ხატის ასლი, რომელსაც ქმნიან ბერძენი ხატმწერები.



ხატის ასლის შესაძენად საჭიროა 10 000 (ათი ათასი) ლარი, შარაპენიძეებო შემოგვმოლია 3 000 (სამი ათასი) ლარი.

მადლობა იმ ადამიანებს და ოჯახებს, რომლებსაც წინაპრები ჰყავდათ შარაშენიძეები და შარაპენიძეები და გაიღეს შემოწირულობა, თუმცა, ეს თანხა, როგორც ხედავთ, არაა

ჩინელ ნეანდერტალელთა არსენალი

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქვის იარაღებით სავსე ადგილს მიაგნეს. მეცნიერების თქმით, ამ იარაღების მეშვეობით 60 000 – 50 000 წლის წინ ადამიანებმა ნადირობა და ცივ გარემოში გადარჩენა შეძლეს, – ნათქვამია უერთნალ Proceedings of the National Academy of Sciences-ში გამოქვეყნებულ კვლევაში.



საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით, „საკურას ყვავილობის დღეები“ გაიმართა. ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე ანდრია ზაბილაძე დაესწრო.

„საკურას ყვავილობის დღეები“ ტრადიციული იაპონური ჩაის ცერემონიით გაიხსნა, რომელსაც ტოკიოდან მოწვეული ოსტატი უძღვეოდა. ასევე, გაიმართა კენდოს წარმოდგენა და სუშის მომზადების მასტერკლასი.

„საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში უკვე მეხუთე წელია ტარდება საკურას ყვავილობის ფესტივალი. ეს დღე ერთგვარ ტრადიციად ჩამოყალიბდა. სულ ცოტა ხნის წინ, ბოტანიკურ ბაღში განახლდა იაპონური ბაღის კუთხე, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იაპონიის საელჩოს. წელს ბაღს 180 წელი შეესრულდა“, – განაცხადა ჰაბა ჰალაძემ.

„საკურას ყვავილობის დღეები“ 5 და 6 აპრილს გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში დამთვალიერებელს დახვდება იაპონურ თემატიკაზე ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ორიგამის, შოდოს, ომიხანას, კინკუგის მასტერკლასები, ანიმეების გამოფენა და იაპონური ლიტე-

რატურის მრავალფეროვნება. „ცვდილობით, რომ საკურას ყვავილობის ფესტივალზე ქართველმა ვიზიტორებმა, სტუმრებმა მაქსიმალურად გაიყნონ იაპონური კულტურა. გვქონდა ტრადიციული,

არქეოლოგებმა ასობით ქვის არტეფაქტებს მიაგნეს. მათი უმეტესი ნაწილი სწორედ ისე იყო გავრეული, როგორც ეს ნეანდერტალელებმა იცოდნენ. მსგავსი სტილისა და სტრუქტურის ქვის იარაღი აღმოსავლეთ აზიაში აქამდე არქეოლოგებს არ აღმოუჩენიათ.

ნეანდერტალელები ევრაზიის ტერიტორიაზე 40 ათასი წლის განმავლობაში არსებობდნენ, სანამ 40 000 წლის წინ არ გაქრნენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა ნეანდერტალელების მიგრაცია მოხდა აღმოსავლეთისკენ, იქ, სადაც დღეს ჩინეთია.

არქეოლოგები არ გამოირიცხავენ იმასაც, რომ სხვა ძველი ადამიანები ისეთივე ქვის იარაღს აკეთებდნენ, როგორც ნეანდერტალელები, თუმცა უფრო დეტალური ინფორმაცია მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც შეგროვებული მასალის დეტალური შესწავლა და დოკუმენტაცია მოხდება.

პროგნოზი ბოტანიკურ ბაღში «საკურას ყვავილობის დღეები»



რატურის მრავალფეროვნება.

„ცვდილობით, რომ საკურას ყვავილობის ფესტივალზე ქართველმა ვიზიტორებმა, სტუმრებმა მაქსიმალურად გაიყნონ იაპონური კულტურა. გვქონდა ტრადიციული,

საკურასი. თუ შარაშენიძეებისა და შარაპენიძეების გვარების წარმომადგენლები დაუდგებით ერთად, შევძლებთ საჭირო თანხის სრულად შეგროვებას და ხატის ჩამოშრძანებას.

ტაძრისთვის ხატის შეწირვის პროცესში გვსურს მონაწილეობა მიიღონ ჩვენი გვარების რაც შეიძლება მეტმა წარმომადგენელმა ყველა კუთხიდან.

იმისათვის, რომ ურთიერთობა გავგიადვილოდეს და პასუხი გავცეთ ნამოჭრილ შეკითხვებს, ვქმნით სოციალურ ქსელში ჯგუფს, რომელშიც შარაშენიძეებისა და შარაპენიძეების გვარების წარმომადგენლები გავერთიანდებით, რათა საჭიროების შემთხვევაში დროულად მოგანდოთ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციები.

ხატის ჩამოშრძანების თარიღს აუცილებლად შეგატყობინებთ წინასწარ.

პატივისცემით გთხოვთ, შემოწირული თანხა გადარიცხოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:

საქართველოს ბანკი :
GE42BG000000581203878
(მიმღები:

**ბაალ შარაშენიძე)
ტელ: 599 56 27 82;
საკონტაქტო პირები:
ლალი შარაშენიძე-
ფერაძისა – 599 11 12 89;
ამთანადო შარაშენიძე –
574 94 06 32
დიმიტრი შარაშენიძე –
595 55 54 25**

საქართველოს კრიტიკული

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სვანტაჰა ქოზულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოზულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კვეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:

თბილისი,
აკაკი წერეთლის №116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**

sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
აშტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია აშტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსელებზე და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოღვრილ, ან უსხოური
პრესიდან თარგმნილი
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იზექდება სტამბა
„ქოლოში“
ე. ბაღდავაძის №3

**„კოდორი“
ჯგუფი**
uac(უაკ)070.4(479.22)
C-323



**რეკლამისთვის
დარეკით:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com**
ნაბიჯიდან თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG000000538329790

**გაზეთის
მომწოდებელი
ნოვარი გაგოვა
ოთხშაბათს,
9 აპრილს**